# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 27 თებერვალი, 2015 წელი.

№38 (7683)


> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.




## სანამდე იქნება ხელისუფლება ნაცრეჟიმის მიმტევებელი და ხუნტის მხარდამჭერი?

*პრობლემას დიდწილად გადაჭრის საარჩევნო კოდექსის შეცვლა (რაც ყოველ მიზეზგარეშე უნდა იქნას მიღწეული!) და ხალხის დარაზმვა ახსნა-განმარტებითი მუშაობის და მართალი ინფორმაციის მიწოდების გზით. სწორედ მართალი ინფორმაციის ეშინიათ იმათ, ვინც დღეს რუსეთის ტელეგადაცემების აკრძალვას ითხოვს, ვინც ადრე რუსული სიმღერები აკრძალა და პუშკინის ძეგლის აღებასაც ითხოვდა!*

*თუ მოვახერხებთ ისეთი ფაქტების მიწოდებას, რაც მთელი საქართველოს მასშტაბით(!) თვალს აუხელს ამომრჩეველს, ადამიანების უმეტესობა თავისით გამოიტანს საჭირო დასკვნას, თუ ვის, რა კატეგორიის და რომელი პარტიის წევრებს დაუჭიროს მხარი.*

3



### კოკა ყანდიაშვილი:

## „ეკა კვესიტაძეები“, „უტიაშვილები“ და „სააკაშვილები“ შვილების სიკვდილით გვემუქრებოდნენ!

4

### რუსული ფული მაინც საქმეშია

## ცოტნე გამსახურდიას სკანდალური სია!

11

## ერთ წამში, როგორც ასანთის ღერს, ისე გადაგტეხავდნენ



5

### რა ხდებოდა ქართულ ციხეებში?

### ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები

| | | | |
|---|---|---|---|
| EUR | 1 | ევრო | 2.5675 |
| USD | 1 | აშშ დოლარი | 2.2635 |
| GBP | 1 | დიდი ბრიტანეთის გ/სტ. | 3.5089 |
| RUB | 100 | რუსული რუბლი | 3.6338 |
| AZN | 1 | აზერბაიჯანული მანათი | 2.1794 |
| AMD | 1000 | სომხური დრამი | 4.7453 |
| UAH | 10 | უკრაინული გრივნა | 0.9243 |
| TRY | 1 | თურქული ლირა | 0.9179 |

## საიდან ამდენი „VIP ხამები“ საქართველოში?

7



### ბიძინა ივანიშვილი:

## ნაციონალების მიერ დანიშნულმა გიორგი ქადაგიძემ თავისი უმოქმედობითა და არასწორი ქმედებებით მიგვიყვანა ეროვნული ვალუტის კრიზისამდე

„საზოგადოება 20/30“ ლარის კურსთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის განცხადებას ავრცელებს.

„2014 წლის შემოდგომიდან ლარის კურსთან დაკავშირებული მოვლენები სწორედ იმ საგარეო ფაქტორების ზეგავლენის ადეკვატურად განვითარდა, რაც რეგიონის სხვა ქვეყნების ეკონომიკებისთვისაც დამახასიათებელია.

სავალუტო კურსზე დიდი ზეგავლენა მოახდინა დოლარის გამყარებამ თითქმის ყველა ვალუტის, მათ შორის, ევროს მიმართ და რეგიონში შექმნილმა რთულმა ეკონომიკურ-პოლიტიკურმა ვითარებამ.

მიმაჩნია და ეს მოსაზრება სრულად შეესაბამება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების პოზიციას, რომ საქართველოში არის მცურავი გაცვლითი კურსი, რაც ეკონომიკისათვის ყველაზე ოპტიმალური რეჟიმია. შესაბამისად, კურსის ცვლილება ხდებოდა ხან ერთი და ხან მეორე მიმართულებით, გაუფასურებას მოჰყვებოდა გამყარება და პირიქით. ლარის კურსის მერყეობა ჯდებოდა სტაბილური ვალუტებისათვის დამახასიათებელი მერყეობის პარამეტრებში და ეს იყო ჯანსაღი რეაქცია საგარეო ეკონომიკური გარემოებების ცვლილებაზე.

საქართველოს მთავრობამ სწორედ იმ მიზნით, რომ შეემსუბუქებინა საგარეო ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენა, გატარებული ფისკალური პოლიტიკით, 2014 წელს შეამცირა ბიუჯეტის დეფიციტი დაგეგმილი 3.9%-იდან 2.9%-მდე (300 მლნ. ლარი).

როგორც ვნახეთ, წინა წლის ბოლოს და 2015 წლის იანვარში მოხდა ლარის გაცვლითი კურსის დასტაბილურება და საგარეო ფაქტორებისგან გამოწვეულ გარემოებებთან მიმართებაში მეტ-ნაკლებად ადეკვატურ ნიშნულზე დაფიქსირება.

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები კი აშკარად ადასტურებს, რომ საქმე გვაქვს ქვეყანაში შექმნილ არასწორ მოლოდინებთან, სპეკულაციურ გარიგებებთან და აჟიოტაჟთან, რომლის შექმნასაც დიდი მონდომებით ცდილობენ ნაციონალური მოძრაობის წევრები და მათი „ექსპერტები“, რომლებიც ყოველგვარი ანალიზისა და დასაბუთების გარეშე ხელს იშვერენ მთავრობისკენ, მაშინ როდესაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს ეროვნული ბანკი.

სწორედ ეროვნული ბანკის კომპეტენცია და პირდაპირი მოვალეობა იყო სიტუაციის სწორად მართვა, რათა საქმე არ მისულიყო არაადეკვატურ განვითარებამდე. ჩვენ კი დავინახეთ საწინააღმდეგო, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ დანიშნულმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ თავისი უმოქმედობითა და არასწორი ქმედებებით მიგვიყვანა ეროვნული ვალუტის კრიზისამდე.

ვალუტის კურსის ნახტომისებური ცვლილების თავიდან აცილების მიზნით რეგიონის სხვა ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა რეზერვების მნიშვნელოვანი ნაწილი გაიღეს (სომხეთი — 34%, მოლდოვა — 30%), რამაც დღეისთვის მათი ვალუტების სტაბილურობის ტენდენცია განაპირობა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კი ოფიციალური რეზერვების მხოლოდ 5%-მდე (120მლნ. დოლარი) დახარჯა, რაც შედეგს ვერ გამოიღებდა და ვერც გამოიღო.

ეროვნულ ბანკს აქვს შესაბამისი ბერკეტი, რომ უზრუნველყოს მცურავი კურსის პირობებში ეროვნული ვალუტის დასტაბილურება. ყველა ობიექტური ფაქტორის გათვალისწინებით, დღეს ლარის გაცვლითი კურსი არ უნდა აღემატებოდეს 2.0 ლარს და მოვუწოდებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს შეასრულოს კონსტიტუციური მოვალეობა და გადადგას ადეკვატური ნაბიჯები“, — ნათქვამია ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

### ალიან-ჩალიანი

## ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე საქართველოში მოიწვია

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკთან შეხვედრისას განაცხადა, ეს ვიზიტი იქნებოდა კარგი შესაძლებლობა იმის დასადასტურებლად, რა მიღწევები აქვს საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესსა და ევროკავშირთან ურთიერთობებში.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელებაზე ისაუბრეს.

„შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა ევროპარლამენტის მიერ ასოციირების შეთანხმების რატიფიცირების პოლიტიკური მნიშვნელობა, რაც პრემიერ-მინისტრმა მორიგ ისტორიულ ნაბიჯად და საქართველოს ევროპული მისწრაფებებისადმი მტკიცე მხარდაჭერის კიდევ ერთ გამოვლინებად შეაფასა.



საუბარი ასევე შეეხო საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის შექმნის მნიშვნელობას, რომელიც საპარლამენტო დონეზე სიღრმისეული პოლიტიკური დიალოგის ხელშეწყობას ისახავს მიზნად“, — აცხადებენ პრემიერის პრესსამსახურში.

## როპერტ სტურუა: ისევ ის ქლესა, მაძღარი სახეები, ისევ აუტანელი თვალთმაქცობა და უნიჭო იდეოლოგია!



როპერტ სტურუა Facebook-ზე ქართულ ტელეარხებსა და ჟურნალისტებთან დაკავშირებით უკმაყოფილობას გამოთქვამს. სტურუას თქმით, მათ სინდისი გაცრიცეს და ისე ოსტატურად გააქრეს, რომ არც არავინ შეამჩნია და უკვე არავის ახსენდება.

„ავადმყოფობა, მეორე მხრივ, ცუდი არ ყოფილა — ვატრიალებ ტვ-არხებს და უკვე ყველაფერში მეპარება ეჭვი: ეს კი ჩემნაირი პატრიოტისთვის ქვეყნის სიყვარულის უმძიმეს გამოცდას წარმოადგენს, ისევ ის ქლესა მაძღარი სახეები, ისევ აუტანელი თვალთმაქცობა და უნიჭო იდეოლოგია! კომპრომისებმა სინდისი გაცრიცეს და ისე ოსტატურად გააქრეს, რომ არც არავინ შეამჩნია და უკვე არავის ახსენდება. არაფერს ვამბობ ქედმაღალ დაბალ გემოვნებაზე, უვიცობის ღრმა პროვინციულ ელფერზე, ჩვენმა ჟურნალისტებმა რომ მოახვიეს ისედაც დაბეჩავებულ ხალხს! როგორც რამაზ ჩხიკვაძის აკოფა ამბობდა: „ნეტავ აქ არ ჩამოვსულიყავი და ორივე ფეხი აი... აი აქ მომტეხოდა!“, — წერს რობერტ სტურუა.

## ნაციონალური მოძრაობის წევრების უკრაინის ოფიციალურ ამპლუაში გამოჩენამ შეიძლება, გარე სამყაროსთვისაც პრობლემები შექმნას

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი კენეტ იალოვიცი უკრაინაში ქართველი ყოფილი მაღალჩინოსნების თანამდებობებზე დანიშვნაზე საუბრობს და აცხადებს, რომ აღნიშნულმა ფაქტმა შესაძლოა, პრობლემები არა მხოლოდ უკრაინას, არამედ გარე სამყაროსაც შეუქმნას. აღნიშნული განცხადება იალოვიცმა „ამერიკის ხმის“ ქართულ სამსახურთან საუბარში განაცხადა.

„უკრაინა ცდილობს, რეფორმის პროცესის განმავლობაში დასავლეთში ნდობა მოიპოვოს. აქედან გამომდინარე, მე პრობლემა არ მექნებოდა, ეს ადამიანები მრჩევლებად რომ მიეწვიათ. ნაციონალური მოძრაობის წევრების უკრაინის ოფიციალურ ამპლუაში გამოჩენამ შეიძლება არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ გარე სამყაროსთვისაც პრობლემები შექმნას... ჩემი აზრით, კიევს არ სჭირდება საქართველოს შიდა პოლიტიკის უკრაინაში შეტანა. მათ საკუთარი საქმე თვითონ უნდა გააკეთონ. გარედან მიღებულ დახმარებას მხოლოდ მრჩევლების ფორმა უნდა ჰქონდეს“, — აღნიშნა იალოვიცმა.

## მიხეილ სააკაშვილის უკრაინის ხელისუფლებაში დანიშვნას გამოკითხულთა 56% უარყოფითად აფასებს



**„თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრმა“ 2015 წლის 20-25 თებერვალს ჩაატარა სოციოლოგიური კვლევა.**

კვლევის მიზანს წარმოადგენდა თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულების დადგენა მიხეილ სააკაშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სხვა ლიდერების უკრაინაში მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნისადმი.

გამოკითხვა თბილისის მოსახლეობის 18 და ზევით ასაკის 457 ადამიანი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ნაციონალური მოძრაობის მიმართ საზოგადოებრივი სიმპათიები მკვეთრად დავარდა.

**კითხვაზე: როგორ აფასებთ მიხეილ სააკაშვილის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სხვა ლიდერების დანიშვნას უკრაინაში მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე? მკვეთრად უარყოფითად გამოკითხულთა 56% რეაგირებს. დადებითად- 13%, ხოლო 31%-ს კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.**

სხვა სქემების მიხედვითაც გამოკითხულთა უმეტესობა ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ ნაბიჯებს უარყოფითად აფასებს.

### ქირა იზრდება, კლიენტურა მცირდება

**„იჯარის ღირებულება გაძვირდა, ხოლო მოსახლეობა გადახდისუუნარო გახდა“ — ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ სავაჭრო ობიექტებს დიდი თავსატეხი გაუჩინა. დოლარის კურსის აწევამ უმრავლესობას მაღაზიის ქირა გაუძვირა და გადახდას ვეღარ ახერხებს, რასაც შემცირებული კლიენტების რაოდენობაც ემატება. ამიტომ, ბევრი მათგანი მაღაზიის დახურვას ამჯობინებს. ექსპერტების განცხადებით, მაღაზიების გახსნა-დახურვა ბაზრის თანამდევი პროცესია, კონკურენცია მაღალია და ამას ბევრი ვერ უძლებს. თუმცა, ამ პერიოდში მაღაზიების დახურვის ერთ-ერთ მაპროვოცირებელ ფაქტორად ლარის დევალვაციას ასახელებენ.**

## ლარის კურსის გაუფასურების პარალელურად, მაღაზიები იხურება

ბოლო პერიოდში პეკინის ქუჩაზე ზედიზედ სამი მაღაზია დაიხურა. რამდენიმე მაღაზიამ შეწყვიტა მუშაობა ვაკეში და ვაჟა-ფშაველას გამზირზე. ზოგიერთი დაკეტილი ფართი ქირავდება, ზოგიერთში კი მორიგი აფთიაქის გახსნა იგეგმება.

როგორც bpn.ge-სთან საუბრისას რამდენიმე მაღაზიის მეპატრონე აცხადებს, შარშანდელთან შედარებით, წელს მომხმარებელთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. მფლობელები გაძვირებული ქირის გადასახადზე ჩივიან, რაც პირდაპირ მიბმულია დოლარის კურსის მატებაზე.

ნინო, 45 წლის: „ვაჟა-ფშაველას გამზირზე ტანსაცმლის მაღაზია მაქვს, აქამდე ქირად 2 600 ლარს ვიხდიდი, თუმცა, ორი თვეა ქირა 50 დოლარით გამიძვირეს. დოლარის კურსი თუ არ დასტაბილურდა, შესაძლოა, ქირა კიდევ გამიძვირონ. თანაც, კლიენტები ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბრიდან შეგვიმცირდა. ჩვენი ძირითადი მომხმარებლები სომხები და აზერბაიჯანელები იყვნენ, ზოგიერთი 1 000 ლარის საქონელს ყიდულობდა. სავიზო რეჟიმის გამკაცრებამ უცხოელები გააქცია. ქართველები ისედაც ნაკლებად შემოდიოდნენ, ახლა მით უმეტეს — ფულს აღარ ხარჯავენ. ჯერჯერობით დახურვას არ ვაპირებ, მაგრამ სიტუაცია თუ არ შეიცვალა, წარმოდგენაც არ მინდა, რა გველის, რადგან ოჯახს ამ გზით ვარჩენ“.

პეკინზე არსებული ერთ-ერთი მაღაზია, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ფუნქციონირებდა, გუშინ დაკეტილი დაგვხვდა. ფართი ქირავდება, ხოლო მომხმარებელს დარჩენილი საქონლის იაფად შეძენას კონკრეტულ მისამართზე სთავაზობენ. „ამ მაღაზიის ყველა ფილიალი დახურეს. მხოლოდ გარეუბანში ფუნქციონირებს. ჯერჯერობით ამის დახურვას არ გეგმავენ. ძირითადი მიზეზი გაძვირებული ქირაა. თანაც, ხალხს ფული არ აქვს და ძირითადად მხოლოდ ტანსაცმლის დასათვალიერებლად შემოდიან“, — განაცხადა მაღაზიის წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ლექვინაძე ამბობს, რომ ლარის კურსის დევალვაციამ იმ მეპატრონეებს, რომლებიც იჯარის საფასურს დოლარში იხდიდნენ, მდგომარეობა გაურთულა. თუმცა, მაღაზიების დახურვას საგანგაშოდ არ მიიჩნევს. „რა თქმა უნდა, ერთი-ერთი მიზეზი ლარის კურსის დევალვაციაა, ამა თუ იმ ეტაპზე მყიდველი გადახდისუუნაროა, თანაც, ბაზარზე მაღალი კონკურენციაა, მაგრამ ეს ტიპური საბაზრო პროცესია. ამაში კატასტროფული არაფერია“, — ამბობს ლექვინაძე.

სოციოლოგ ნოდარ კაპანაძის თქმით, მაღალი კონკურენციის პირობებში თბილისში მაღაზიების დახურვა ხშირი მოვლენაა. თუმცა, ამ ეტაპზე ლარის გაუფასურებამ თავისი როლი ითამაშა. „ამ პერიოდში მაღაზიების დახურვაზე რაღაც გავლენა ლარის კურსს შეიძლება ჰქონოდა. მათ შორის, ვისაც იჯარა დოლარში აქვს, გადასახადი გაეზარდა. მაღაზიების დახურვა ხშირია, მოგების მარჟა დაბალია. საქონელი, რითაც ვაჭრობდნენ, გაძვირდა, მომხმარებელს შემოსავლები შეუმცირდა და გადახდისუუნაროა. საერთო ჯამში, ყველა ეს ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს. თუმცა, ეს პროცესი ახლა არ დაწყებულა“, — დასძინა კაპანაძემ.

**სალომე გოგოხია**

### კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● ერთი 500 $ თუ გიდევს სახლში ფაქტობრივად ბიძინა ხარ.

● ლარი — ამ სიტყვის საუკეთესო და ფართო გაგებით...

● რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!

ობამა და პუტინი ერთმანეთს ხოცავენ ალასანიას და უსუფაშვილის გადაბირებაზე.

კვესიტაძეს ქურდები ურეკავენ.

ქართველები უკრაინაში დემოკრატიას აშენებენ.

იმდენი ვარსკვლავი გვყავს, რომ ერთ შოუში მღერიან და მეორეში ცეკვავენ.

უბრალოდ, ჩვენ ვერ ვხედავთ, თორემ ივერია კაი ხანია გაბრწყინებულია!

● ლარი ისე რო დავათროთ, განძრევის თავი აღარ ჰქონდეს არა?

● 24 წელიწადია პოლიტიკაში ვარო! ამაყად განაცხადა ტელეეკრანიდან ერთმა საშუალო ცნობადობის ჯეელმა.

ზუსტად 24 წელიწადია, რაც უმუშევარი ვარ.

ამ ამბავს მთლად ამ ვაჟბატონს ვერ დავაბრალებ, თუმცა, ამ 24 უმუშევარ წელიწადში, ვფიქრობ, მე უფრო მეტი გავაკეთე ქვეყნისთვის, ვიდრე ყველა დიდი თუ მცირე სტაჟის მქონე პოლიტიკოსმა, თუნდაც იმითი, რომ არაფერი გამიფუჭებია...

● საქართველოს ხელისუფლება

პეპელაბაფთიანი მოაზროვნეები:

„რა?“ — პარლამენტში დასვით,

„სად?“ — მთავრობაში,

„როდის?“ — ეროვნულ ბანკში,

ჭრელპერანგიანი გიორხელიძე კი — აქუსთან

და

სოფელიც აშენდება!




● არც ერთ შეხვედრაზე არ წყდება მნიშვნელოვანი საკითხები, მითუმეტეს, თუ 30-40 განსხვავებული ინტერესების მქონე პირი მონაწილეობს.

ამიტომ, ნოდარ ხადურს, გიორგი კვირიკაშვილს და გიორგი ქადაგიძეს ვურჩევ ტელეფონებით იმოქმედონ და შეეშვან ჩვენს „დაბოლებას“ და ტელევიზიის წინაშე კეკლუცობას!

ეგ თქვენი გეგმები და ეკონომიკური ტერმინოლოგია უკან გაიკეთეთ და საქმეს მიხედეთ.

● „შულავერის კომიტეტის“ წევრების შემადგენლობა სად მოვძებნო პატივცემულებო?

1921 წლისას ვკითხულობ, თორემ ახლის მეც კი ვიცი.

● სულ რომ გაბონდეს ლარი (მე პირადად მაგრად დამეტყო უკვე), სულ რომ ყოველდღე თითო-თითო ჩინოვნიკი გადააყენონ ან დაიჭირონ კორუფციისთვის, სულ რომ ასე ბოთე-ბოთე გადაწყვეტილებები მიიღონ 2016-მდე ამ პატივცემულებმა — თქვენ მაინც ვერ მოხვალთ ხელისუფლებაში, ამათზე ძალიან-ძალიან ღრმად პატივცემულებო...

გეყურებათ?

„Тьфу-тьфу, чтоб не сглазить“!

ამოკრიბა

**გია გაბრიჭიძე**

# სანამდე იქნება ხელისუფლება ნაცრეჟიმის მიმტევებელი და ხუნტის მხარდამჭერი?

**ერთი წუთით თავი დავანებოთ ყველაფერს, სამართლიანობის აღდგენასაც და ბევრ სხვა შეუსრულებელ დაპირებას, რაზედაც ორი წელია, გამუდმებით ვლაპარაკობთ, და სხვა კუთხიდან შევხედოთ ხელისუფლებას — მისი გადადგმული თუ არგადადგმული ზოგიერთი, განსაკუთრებით თვალშისაცემი ნაბიჯი შევაფასოთ და გამოჩნდება, რომ იგი მეტის გამკეთებელი არ არის!**

ხელისუფლება თუნდაც იმიტომ არის შესაცვლელი, რომ იგი მხარს უჭერს დამნაშავე ნაცმოძრაობის ტყუპისცალ კიევის ხელისუფლებას — ხუნტას, რომელიც, ნაცების ანალოგიურად, გადატრიალების (თანაც, სისხლიანი!) გზით მოვიდა ხელისუფლებაში და, რომელმაც ზუსტად იგივე გზა გაიმეორა, რაც სააკაშვილმა — რუსეთთან დაპირისპირებით კიდევ უფრო სასტიკ, ძმათამკვლელ სამოქალაქო ომში ჩააბა მოსახლეობა და პროცენტულად, თითქმის, იმდენივე ტერიტორია დააკარგვინა უკრაინას (13.5 % — 80 000კვ კმ, ყირიმის ნახევარკუნძულის, დონეცკის და ლუგანსკის ოლქების სახით), რაც სააკაშვილმა — საქართველოს (16.8 % — 11 700 კვ კმ, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახით).

აქ საგარეო კურსზე არ მაქვს ლაპარაკი — ტაძრის ნაცვლად „ნატოსკენ“ რომ ჰქონდა აღებული გეზი „ქართულ ოცნებას“, ეს თავიდანვე არ დაუმალავს (რაც, კიდევ ცალკე განსჯის თემაა). აქ სხვა რამ გამოიკვეთა, თანაც, აშკარად — **კიევის ხუნტის მხარდაჭერით „ქართულმა ოცნებამ“ ძალზე გასაგებად გვითხრა, გაგვაგებინა, რომ იგი ნაცრეჟიმის გამსამართლებელი არაა, რომ იგი, პირიქით, ნაცების მსგავსი რეჟიმების მომხრეა**! ხუნტების და რეჟიმების მხარდამჭერი ხელისუფლება კი არც ერთი სახელმწიფოს ხალხს არ გამოადგება! ამერიკის და ევროკავშირის ხათრით უჭერს მხარს თუ შიშით, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მაგრამ, საკუთარ ნაცებთან და სხვების ხუნტასთან ჩახუტება არ გვაკმარეს ჩვენმა „არჩეულებმა“ და მთელი მსოფლიოს გასამასხარავებელიც გაგვხადეს. მინისტრები და პრემიერი იმ ქვეყნებში დადიან (უნგრეთი) ან აპირებენ ჩასვლას ოფიციალური ვიზიტებით (უკრაინა), სადაც თავშეფარებული და დასაქმებულიც(!) ჰყავთ ინტერპოლით ძებნილი, მაგრამ მაინც „მოუხელთებელი“ იუსტიციის ყოფილი მინისტრი ადეიშვილი და, სადაც პრეზიდენტის მთავარ მრჩევლად ჩვენ დამაქცევარ ყოფილ პრეზიდენტს — სააკაშვილს ნიშნავენ (სხვა წვრილფეხობა ნაცები არცაა მოსატანი)!

ამ ვიზიტებით (ახლა, მაიდნის წლისთავზე, ხომ პრეზიდენტიც ეახლება ხუნტას, ოღონდ, — მეგობრული ვიზიტით!) და დამნაშავეთა გადმოცემის მოთხოვნის დაგვიანებით (თვეობით!) ხელისუფლება არა მარტო საკუთარ თავმოყვარეობაზე ამბობს უარს, იგი ქართველი ერის, საქართველოს ღირსებას ლახავს! თუ როგორ, რა გზებით და ხერხებით უნდა დაიცვას სახელმწიფოს მეთაურმა საკუთარი და ერის ღირსება, ამას დიპლომატიური სკოლის გავლის გარეშეც უნდა ხვდებოდეს ნებისმიერი ადამიანი. როდესაც ხელისუფლება ადეკვატურად არ რეაგირებს და უკრაინასთან ისევ მეგობრობაზე აგრძელებს ლაპარაკს, ამის შემხედვარე რომელი სახელმწიფო მოგვეპყრობა პატივისცემით, პირში თუ არა, ზურგსუკან ყველა დაგვცინებს და, დიახაც, ღირსნი ვიქნებით (ისე, მეგობრობას რაც შეეხება, ყველამ ვიცით, რომ ურთიერთპატივისცემის გარეშე მეგობრობა გამორიცხულია, რომ **სახელმწიფოთა შორის მეგობრობაც და სიძულვილიც მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკაზეა დამოკიდებული, ხელისუფლება აომებს ხალხებს ერთმანეთთან, თორემ აბა, ერებს არაფერი აქვთ გასაყოფი**, მით უფრო იმათ, ვისაც საერთო საზღვარი არა აქვს)!

მარტო ეს ფაქტებიც საკმარისია იმისთვის, რომ ხელისუფლებას უნდობლობა გამოვუცხადოთ, მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, ხელისუფლების მხოლოდ მორალური, ზნეობრივი მახასიათებელია, რასაც კიდევ უფრო ამძიმებს საყდრისის აფეთქებასთან დაკავშირებით დაკავებული მისი ანტიეროვნული პოზიცია და ერთხმად მიღებული სამარცხვინო ანტიდისკრიმინაციული კანონი.



გაცილებით საშიში და მორალურთან ერთად ქართველი ერისთვის წარმოუდგენლად დიდი ზიანის მომტანი ფაქტია მიწების გაყიდვა, ანუ, არსებითად, საქართველოს გაყიდვა უცხოელებზე! თუ სახნავ-სათესი მიწები, წყალი, მდინარეები, ტყეები, საძოვრები და წიაღისეული გაიყიდება (სტრატეგიული ობიექტები რახანია, თითქმის, სულ გაყიდულია!) და ამ ყველაფრის მეპატრონეები თავიანთ გვარჯილაგსაც ჩამოასახლებენ (ხელისუფლების ხელშეწყობით უკვე ხომ ათეულ ათასობით თურქი, ათასობით ჩინელი, ინდოელი, არაბი და აფრიკელია ჩამოსახლებული), უკიდურესად შეჭირვებული ქართველი კაცი კი იძულებული გახდება, გუდა-ნაბადი აიკრას და ლუკმა-პურისთვის სამშობლოდან გადაიხვეწოს (ბედოვლათი ხელისუფლებების წყალობით უკვე ხომ მილიონ-ნახევარი ქართველია მსოფლიოს მოდებული!), რაშიც მას ევროპაც „დაეხმარება“ სავიზო რეჟიმის გამარტივებით, მაშინ აგვიხსნან რა მოვლენასთან გვექნება საქმე, საქართველოს გაყიდვა და დაქცევა იქნება ეს, თუ — საქართველოს გამრავლება-გაფურჩქვნა?!

თუკი ანტიდისკრიმინაციული კანონით ჯერ ზნეობრივი გარყვნა, ხოლო მოგვიანებით ფიზიკური გადაშენებაც გვემუქრება, მიწების უცხოელებზე მიყიდვის კანონით, რომელიც უმიწოდ დარჩენილი სოფლის მასობრივ აყრას და სხვა ქვეყნებში იძულებით გადასახლებას გამოიწვევს, ძალიან ახლო მომავალში დავდგებით ქართველის სახსენებლის გაქრობის ფაქტის წინაშე და, ვუძახოთ მერე ქართველებისგან დაცლილ ტერიტორიას საქართველო.

**„თუ მიწის ყიდვით არ დავაინტერესეთ უცხოელები, ინვესტიციები არ შემოვა“; „რა მოხდა, იყიდონ უცხოელებმა მიწა, ზურგზე ხომ ვერ მოიკიდებენ და წაიღებენ“**, ხშირად გვესმის ტელეეკრანიდან ჩვენი „გონებაგახსნილი“ პოლიტიკოსებისგან თუ ჟურნალისტებისგან. **და ასეთ სისულელეს არგუმენტად რომ მოიყვანს, ჩვენი პატრიარქის შეგონებას კი არ გაითვალისწინებს, ის ხელისუფლება გადასარჩევი კი არა, გასაგდებია!** ხელისუფლება იმდენად ახლომხედველია (მთლიანობაში, ცხადია, და არა ცალკეული, ერთეული(!) მინისტრები ან დეპუტატები), რომ შორეულს ვინ ჩივის, ახლო მომავალსაც ვერ აფასებს სათანადოდ.

ვითომ, ასეთი ძნელი დასანახია ის საფრთხე, რაც გვემუქრება, როგორც ერს და, როგორც ეროვნულ სახელმწიფოს?! რა თქმა უნდა, არა! მაშინ რატომ აგრძელებს „ოცნების“ ხელისუფლებაც ნაცების ტრადიციებს მხოლოდ მცირედი, კოსმეტიკური ცვლილებებით? არც ესაა ძნელი მისახვედრი. იმიტომ, რომ ყველა უწყებასამინისტროს ასეთი მითითებები აქვთ მიღებული მათთვის მიჩენილი დასავლელი „მრჩევლებისგან“, იმ ადამიანებისგან, რომლებსაც თავიანთ ქვეყნებში ისეთი კანონები, ისეთი ბარიერები აქვთ მოფიქრებული, რომ უცხოელები, პრაქტიკულად, ვერც კი ყიდულობენ მიწებს. ჩვენსავით მცირემიწიან ზოგიერთ სახელმწიფოში კი, საერთოდ, აკრძალულია უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვა. თუ კარგია ის კანონები, რასაც ჩვენ გვთავაზობენ, რასაც გვაძალებენ(!) რომ მივიღოთ, თავად რატომ არ იყენებენ საკუთარი ეკონომიკის კიდევ უფრო განვითარებისთვის?! ზედმეტი მოუვათ და აწყენთ?!

ამ, და კიდევ ბევრ სხვა კითხვაზეც პასუხები დიდი ხანია, ცნობილია უცხოელი მეცნიერების წიგნებიდან, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული მაინც ამერიკელი ავტორის, ჰარვარდის და პრინსტონის უნივერსიტეტების პროფესორის **ჯონ პერკინსის** ორი წიგნია (30-ზე მეტ ენაზე თარგმნილი): **„ეკონომიკური მკვლელის აღსარება“ და „ამერიკის იმპერიის საიდუმლო ისტორია (ეკონომიკური მკვლელები და სიმართლე გლობალური კორუფციის შესახებ)“**. ჯონ პერკინსზე ბევრჯერ დაწერილა და, დარწმუნებული ვარ, მისი პირველი წიგნი მაინც ექნებათ წაკითხული ხელისუფლებაში თბილად მოკალათებულებს, იგი ქართულადაც არის თარგმნილი. მაგრამ რად გინდა, თუ დასკვნა არ გამოიტანე, შეაყარე კედელს ცერცვი... მიუხედავად ამისა, ამ წიგნების დედააზრი, ძალიან მოკლედ, ხელისუფლების გასაგონად კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, ეგებ სასწაული მოხდეს, სინდისმა შეაწუხოს და თავში შეუშვას:

**ამერიკას მიზნად აქვს დასახული მსოფლიოზე ბატონობა, რასაც ახორციელებს კიდეც სახელმწიფოების სამხედრო და, უმეტესწილად, ეკონომიკური დამორჩილების გზით, რისთვისაც იგი იყენებს მაღალჩინოსნების მოქრთამვის მეთოდს და კორუმპირებული ხელისუფლებების დახმარებით ატარებს მისთვის სასურველ პოლიტიკას — მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხებით ხდება გაჭირვებაში მყოფი სახელმწიფოების დაკაბალება და მოსახლეობის კვლავ სიღატაკეში ჩატოვება.** ყველაფერი ისეა გათვლილი, რომ ბანკების სესხების გადახდა, პრაქტიკულად, ვერავინ შეძლოს! და როდესაც ვეღარ იხდის ვალებს, როდესაც პროცენტებსაც კი ვერ აუდის, ხელისუფლება იძულებულია, ახალი სესხები აიღოს (გავიხსენოთ ჩვენი ვალი, რომელიც 5-ჯერ, 13.5 მილიარდამდე გაიზარდა 8 წელიწადში! ადვილი დასაანგარიშებელია, თუ რამდენი ათასი ვალი გვაწევს თითოეულ ჩვენგანს) და კიდევ უფრო შემოიჭიროს გლობალისტების ეკონომიკური ყულფი, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა საკუთარ კისერზე! აი, ამ დროს ითხოვს მევალე სტრატეგიული ობიექტების, წიაღისეულის, წყლის და ა.შ. გაყიდვას, ითხოვს ქართველი სამხედროების გაგზავნას ნებისმიერ წერტილში და ნაცისტური ხელისუფლებისთვის სოლიდარობის გამოცხადებასაც!

**ვინ უგდებს ყურს ან კათალიკოს-პატრიარქის შეგონებას ქართული მიწის გაყიდვის დაუშვებლობის თაობაზე, ან ქართველი კაცი ვის ახსოვს, მოგცლიათ? მთავარია, თურქი, ინდოელი, ჩინელი, არაბი და სხვა გადამთიელი ჰყავდეთ კმაყოფილი და... ამერიკის ელჩმა არ დატუქსოს კოჟორიძე-ლომჯარია-გიგაურის პირით!**

იხ. 4 გვ.

## ალიან-ჩალიანი



## ნოდარ ხადური ნავთობპროდუქტების სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა

**მთავრობასა და ბიზნესს შორის კონსულტაციები გრძელდება. ბიზნეს ასოციაციასთან შეხვედრის შემდეგ, გუშინ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა შეხვედრა ნავთობპროდუქტების სექტორის წარმომადგენლებთან გამართა.**

**სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა დარგის განვითარებისა და ხელშეწყობისთვის ფინანსთა სამინისტროს მხრიდან განხორციელებული საკანონმდებლო ინიციატივები განიხილეს, რომელიც ბუნებრივი დანაკარგების შესახებ კანონის მიღებას უკავშირდება. ასევე, საუბარი შეეხო ახალ ინიციატივებს დარგში აღრიცხვიანობის მოწესრიგების, პროცედურების გამარტივების მიმართულებით.**

**ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მოისმინეს ის შენიშვნები და წინადადებები, რომელიც ამ კუთხით აქვთ ნავთობიმპორტიორებს.**

## თეა წულუკიანმა ტონი ბლერის მეუღლესთან თანამშრომლობის საკითხი განიხილა



**საქართველოს იუსტიციის მინისტრი დიდ ბრიტანეთში ვიზიტის ფარგლებში უმსხვილესი იურიდიული ფირმა „ომნიას“ წარმომადგენელს, ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის მეუღლეს შეხვდა.**

**უწყების ინფორმაციით, თეა წულუკიანმა ჩერი ბლერთან ორმხრივი თანამშრომლობის საკითხი განიხილა.**

**მათივე განმარტებით, შეხვედრა უშუალო გარემოში, ბლერის სახლში შედგა და მას საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში რევაზ გაჩეჩილაძე ესწრებოდა.**

**„შეხვედრაზე გადაწყდა, რომ იურიდიული კომპანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის ტრენინგმოდულს შეიმუშავებს. სწავლება შემოდგომაზე დაიწყება, რომლის თემა საარბიტრაჟო დავა და მედიაციის საკითხები იქნება. საარბიტრაჟო დავის საკითხებზე სწავლებას იუსტიციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების, ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები დაესწრებიან. ტრენინგის გავლის საშუალება ექნებათ იმ სახელმწიფო კომპანიებსაც, რომლებსაც ინვესტორებთან სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულების გაფორმება უწევთ. სემინარი არ მოიცავს თეორიულ საკითხებს, ის პრაქტიკული ხასიათის იქნება, რაც მონაწილეებს კონკრეტულ ყოველდღიურ საქმიანობაში დაეხმარება; მედიაციის ტრენინგებს კი ნოტარიუსები და მოსამართლეები დაესწრებიან. სწავლება მათ საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში დაეხმარება“, — აცხადებენ სამინისტროში.**

**„ომნია“ მსხვილი იურიდიული და საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სამართლებრივ დახმარებას წამყვანი ქვეყნების მთავრობებს უწევს.**

ინტერპრესი



# სანამდე იქნება ხელისუფლება ნაცრეჟიმის მიმტევებელი და ხუნტის მხარდამჭერი?

(მესამე გვერდიდან) როგორ გგონიათ, მიწების გაყიდვის უაზრობა მხოლოდ ჩვენ გვესმის, და ჩვენ „რჩეულებს“ კი — არა?! ყველას ყველაფერი შესანიშნავად ესმის და ამერიკის შორსმიმავალი გეგმების თაობაზეც სხვაზე არანაკლებად იციან, მაგრამ გარედან მიღებული მითითებების არშესრულებას და შიგნიდან არასამთავროების მიერ ატეხილ ყაყანს (ზემოთ დასახელებული სამეულის თავკაცობით), ყველაფერი ურჩევნიათ — მანქურთები მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ. მთავარი მიზეზი ის არის, რომ მათ ეშინიათ ქვეყნის ინტერესების დაცვას და ამით გამოწვეულ დაპირისპირებას დასავლეთთან, სავარძლების დაკარგვა არ მოჰყვეს — ისინი ვერაფრით შეელევიან თანამდებობით მინიჭებულ პრივილეგიებს: მაღალ ხელფასებს თავისი პრემია-დანამატებით, უცხოეთში სისტემატურ გასეირნებებს (ვიზიტებს რომ ეძახიან) და, რაც მთავარია, ვერ შეელევიან დიდი ფულის კეთების შესაძლებლობას! კარგადაა ცნობილი, რომ დეპუტატს მხოლოდ სხვადასხვა კომპანიების პროტექციონიზმით და წილებში ჩაჯდომით (ტენდერებით, აშკარა მფარველობით თუ ფარული შეწერებით) შეუძლია მილიონების დაგროვება! ეს რომ ასე არ იყოს, და მათაც ისეთივე ანაზღაურება ან შესაძლებლობა ჰქონდეთ, როგორიც დანარჩენ, თუნდაც, განათლებულ მოსახლეობას (უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერ-მუშაკებს, ექიმებს და სხვებს) და, მომავალშიც 150-ლარიანი (და არა ათჯერ დიდი!) პენსია ელოდებოდეთ, დამერწმუნეთ, არაფრად ჩააგდებდნენ არასამთავრობოებსაც და დასავლეთის „მეგობრულ“ რჩევებსაც!

პარლამენტის იმედი რომ გვქონდეს, ყურსაც არ შეიბერტყავდა კაცი ეკონომიკის და იუსტიციის სამინისტროების მიერ მომზადებულ მიწის კანონპროექტზე, რომელიც გასული წლის მიწურულს შევიდა პარლამენტში, მაგრამ რა ვაჟკაცებიც გვყავს საკანონმდებლო ორგანოში, ეს ანტიდისკრიმინაციული კანონის კენჭისყრის დროს გამოჩნდა!

მოქრთამული (გნებავთ, უხვად დაფინანსებული) პოლიტიკოსების, ექსპერტების, არასამთავრობოების და ჟურნალისტების ენით ხდება მოსახლეობის გამუდმებული და მიზანმიმართული დამუშავება, რაც გამოიხატება დეზინფორმაციის, ანუ ტყუილ-მართალის(!) მიწოდების ფონზე მოვლენების (უპირველესად, პოლიტიკურის, შემდეგ კი — რელიგიური, კულტურული და ა.შ.) ცალმხრივად გაშუქებაში, რასაც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ტვინების გამორეცხვა ეწოდა. ყველა ტელეარხიდან („ობიექტივის“ გამოკლებით) ყოველდღიურ რეჟიმში ნიაღვარივით წამოსულ დეზინფორმაციას ვერავინ არიდებს თავს, მისი გავლენის ქვეშ ექცევა, პრაქტიკულად, ყველა — გაუნათლებელიც და განათლებულიც და, ამიტომაც არის, რომ ხელისუფლებას ძალიან უადვილდება ჩვენი მართვა, ჩვენ კი ძალიან გვიძნელდება, გავერკვეთ, სად არის ტყუილი და სად — მართალი, ვინ ვინ არის სინამდვილეში, საქართველოზე მაფიქრალი ჭეშმარიტი მამულიშვილია თუ სულგაყიდული. სწორედ ამის გამოა, რომ არაფერი იცვლება და არჩევნებიდან არჩევნებამდე მუდამ „სანიმუშო“ ხელისუფლება გვყავს.

ჩვენ გვარიან ზომბირებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ უკრაინის მთავრობაში დამნაშავე ნაცების დანიშვნას არ მოჰყვა მძაფრი რეაქცია ქართველი საზოგადოების მხრიდან; იგივეზე მეტყველებს ისიც, რომ უკრაინაში მებრძოლ ქართველებს ჰგონიათ საქართველოსთვის იბრძვიან, და ვერ გაუგიათ, რომ სააკაშვილისნაირ რეჟიმს, პოროშენკო-ვალცმანის, იაცენიუკის, გროისმანის და კოლომეისკის რეჟიმისთვის სწირავენ თავს! მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენზე მეტად უკრაინელ ხალხს ექნებოდა გამორეცხილი ტვინი — როდესაც კორუმპირებული იანუკოვიჩით გამოწვეული მათი უკმაყოფილება გარკვეულმა(!) ძალებმა ოსტატურად გადაზარდეს უკრაინელ რუსებთან (საბოლოო ჯამში კი, რუსეთთან) დაპირისპირებაში და დაუნდობელ, დამღუპველ ძმათამკვლელ ომში ჩააბეს; ესეც არ აკმარეს უკრაინელებს, მათ ღირსებაც არნახულად შეულახეს, როდესაც თავზე დაასვეს უცხოელებისგან, თანაც, მეგობარ ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და ძებნაში მყოფი პირებისგან შემდგარი მთავრობა, თითქოს, 45-მილიონიან უკრაინაში ორი ათეული პატიოსანი და პროფესიონალი ადამიანი არ მოიძებნა! მსგავსი თავისმომჭრელი პრეცედენტი ისტორიას არ ახსოვს!

ამ დიდი ხარვეზის ანუ ჩვენი გზააბნეულობის, თუნდაც, ნაწილობრივ გამოსასწორებლად და იმაში გასარკვევად, თუ ვინ ვის ემსახურება, აუცილებელია მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობა, რისთვისაც **ხელისუფლებას, ნაცვლად ჩვენი გადამისამართებისა ინტერნეტ-საიტებზე, მთელი რიგი საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება უნდა მოვთხოვოთ. პარლამენტში ასარჩევ თითოეულ კანდიდატს კი — საკვანძო საკითხებზე საკუთარი პოზიციის ღიად და გარკვევით დაფიქსირება.**

აი, რა ფაქტების ცოდნაა, უპირველესად, აუცილებელი (ბევრი მათგანი უცნობია, ზოგიც — დასაზუსტებელი):

1. რამდენი არასამთავრობო ორგანიზაციაა საქართველოში, რომელი ორგანიზაციები ფინანსდებიან უცხოეთიდან და რა თანხით;

2. რამდენი უცხოელი მრჩეველი იყო 2004-2012 წლებში საქართველოში (უწყებების, სამინისტროების მიხედვით) და რამდენია დღეის მონაცემებით; ვინ უხდის მათ ხელფასს (თუ ჩვენ, მაშინ — რამდენს);

3. რამდენი დოლარია გადმორიცხული საქართველოს მოქალაქეებზე უცხოეთიდან (სახელმწიფოების მიხედვით) 2004-2014 წლებში;

4. რამდენი დოლარია პენსია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (ასაკის, დამსახურების და სტაჟის მიხედვით) და ჩვენთან;

5. რამდენია საარსებო მინიმუმი ამერიკა-ევროპის სახელმწიფოებში და რას მოიცავს იგი (რომელ პროდუქტებს და რა ოდენობით, საკვები პროდუქტების გარდა რას შეიცავს სხვას); იგივე მონაცემები საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში და ჩვენთან;

6. როგორია უმუშევრობის დონე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და ჩვენთან (ერთნაირი მეთოდით დაანგარიშებული, და არა ისე, როგორც ჩვენთანაა, როცა სოფელში მაცხოვრებელი ყველა გლეხი დასაქმებულადაა ჩათვლილი!);

7. რამდენი ციხის თანამშრომელი, პოლიციელი, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, დეპუტატი და სხვა სახელმწიფო მოხელე, რომლებზედაც საჩივარია (საჩივრები!) შესული პროკურატურაში, აგრძელებს დღეს მუშაობას საჯარო სამსახურში (იმავე ან სხვა თანამდებობაზე);

8. დეპუტატებიდან ვინ დაუჭირა მხარი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გათანაბრებას სხვა ეკლესიებთან და რელიგიურ მიმდინარეობებთან; ვინ მისცა ხმა ანტიდისკრიმინაციულ კანონს და მიწის კანონზე მორატორიუმის გაუქმებას;

9. რამდენი ადამიანია მსჯავრდებული საქართველოში 2004-2012 წლებში (წლების მიხედვით); რამდენთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება; რამდენს წაართვეს ძალით ქონება, გადააფორმებინეს (აჩუქებინეს) და რამდენს — საცხოვრებელი სახლი, აგარაკი, ბიზნესი, მანქანა და ა. შ.; რამდენს დაუბრუნდა წართმეული ქონება სრულად ან მიეცა კომპენსაცია.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სწორი არჩევანის გასაკეთებლად აუცილებელია დაწვრილებით ვიცოდეთ, თუ ვინ ვინ არის, ვინ დგას დეპუტატობის კანდიდატის უკან (რომელი სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაცია, პარტია). მათ მიერ სულ რამდენიმე კითხვაზე გაცემული პასუხი, გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის თითოეული კანდიდატის შრომით წარსულზე, ზნეობრივ სახეზე და პოლიტიკურ პოზიციაზეც.

ეს კითხვებია:

1. სად მიიღო განათლება და რა სპეციალობით; სად მუშაობდა და რა თანამდებობებზე;

2. რომელი პარტიის წევრია და იყო თუ არა წარსულში სხვა პარტიის (პარტიების) წევრი;

3. მხარს უჭერს თუ არა ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმებას;

4. მხარს უჭერს თუ არა ისეთი მიწის კანონის მიღებას (და არსებულის გაუქმებას), რომელიც მაქსიმალურად შეზღუდავს სახნავ-სათესი მიწების, საძოვრების, წყლების, მდინარეების, ტყეების და წიაღისეულის უცხოელებზე გაყიდვას, რაც ხელს შეუწყობს ქართველი კაცის მიწაზე დამაგრებას, დაიცავს სოფელს და მთლიანად საქართველოს — დაცლისგან;

5. მხარს უჭერს თუ არა ამერიკის ფულით მოწყობილი მაიდნით, ანუ სამხედრო გადატრიალების გზით მოსულ, ძებნილი სააკაშვილ-ადეიშვილით და სხვა ნაცებით გავსებულ უკრაინის მთავრობას, რომლის დაკომპლექტებაში(!) აქტიურად მონაწილეობდა ახლახან ჩვენთან ვიზიტად მყოფი აშშ სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ქ-ნი ნულენდი (აგრეთვე, უკრაინაში ამერიკის ელჩი პაიეტი). პასუხი: „მე მხარს ვუჭერ უკრაინას, ან უკრაინელ ხალხს“, არ მიიღება, კითხვა მხოლოდ მთავრობას შეეხება!

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორ გინდა არსებული საარჩევნო სისტემის პირობებში დაამარცხო ნაცმოძრაობის, რესპუბლიკელების და თავისუფალი დემოკრატების, ანუ სააკაშვილ-უსუფაშვილ-ალასანიას ერთობლივი ძალა, როცა ადმინისტრაციული რესურსების 80-90 %, ცენტრში და ადგილებზეც, ამათ ხელშია; როცა უსაზღვრო ფინანსური შესაძლებლობაც აქვთ და მედიასაც, ერთი „ობიექტივის“ და რამდენიმე გაზეთის გამოკლებით, ისინი განაგებენ; როცა გარედან დასავლეთის (უპირველესად, ამერიკის) აშკარა პოლიტიკური მხარდაჭერა აქვთ და შიგნიდან კიდევ ამ დასავლეთის დაფინანსებული არასამთავრობოები უმაგრებენ ზურგს; როცა მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი დეზინფორმირებულია (განსაკუთრებით, რაიონებში და, განსაკუთრებით, აზერბაიჯანელებით და სომხებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც ყველაფერს ენობრივი ბარიერი — ქართული ენის უცოდინარობაც ემატება); და, როცა ამ ხელის შემშლელი მიზეზების „ბუკეტს“ აგვირგვინებს პრეზიდენტ მარგველაშვილის საჯაროდ გაცხადებული მეგობრობა ამ ძალების ლიდერებთან!

როგორ გინდა ასეთ უთანასწორო ბრძოლაში გაიმარჯვო? ეს ხომ წარმოუდგენელია, თითქმის, შეუძლებელი. მაშ რა ვქნათ, ხელები ჩამოვუშვათ თუ ტყუილ დაპირებებში შევეჯიბროთ მათ? რა თქმა უნდა, არა! მაშ რა ვიღონოთ, რა მოვიმოქმედოთ? **პრობლემას დიდწილად გადაჭრის საარჩევნო კოდექსის შეცვლა (რაც ყოველ მიზეზგარეშე უნდა იქნას მიღწეული!) და ხალხის დარაზმვა ახსნა-განმარტებითი მუშაობის და მართალი ინფორმაციის მიწოდების გზით.** სწორედ მართალი ინფორმაციის ეშინიათ იმათ, ვინც დღეს რუსეთის ტელეგადაცემების აკრძალვას ითხოვს, ვინც ადრე რუსული სიმღერები აკრძალა და პუშკინის ძეგლის აღებასაც ითხოვდა!

**თუ მოვახერხებთ ისეთი ფაქტების მიწოდებას, რაც მთელი საქართველოს მასშტაბით(!) თვალს აუხელს ამომრჩეველს, ადამიანების უმეტესობა თავისით გამოიტანს საჭირო დასკვნას, თუ ვის, რა კატეგორიის და რომელი პარტიის წევრებს დაუჭიროს მხარი.**

**იაკობ ლეჟავა,**

19 თებერვალი, 2015 წელი

## ◉ ალიან-ჩალიანი

### „ეკა კვესიტაძეები“, „უტიაშვილები“ და „სააკაშვილები“ შვილების სიკვდილით გვემუქრებოდნენ!

**ჟურნალისტი კოკა ყანდიაშვილი ეკა კვესიტაძის იმ განცხადებას ეხმაურება, სადაც კვესიტაძე საუბრობს კანონიერი ქურდების მიერ მასთან განხორციელებულ ზარებსა და მუქარებზე. კვესიტაძე სთხოვს შსს-ს, ყველაფერი გააკეთონ, რომ გამოიძიოთ ეს საქმე. კოკა ყანდიაშვილმა 2007-2008 წლები გაიხსენა და ეკა კვესიტაძეს ასე უპასუხა:**

**„7 ნოემბრის დღეებში და მერე, მთელი საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, დღეში რამდენიმეჯერ - მეც, და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ოპოზიციასთან გვქონდა ურთიერთობა, გვირეკავდნენ „ეკა კვესიტაძეები“, „უტიაშვილები“, „სააკაშვილები“ და სიკვდილით გვემუქრებოდნენ. შვილების სიკვდილით. ოჯახის ამოხოცვით, დაშინებით, ლანძღვით და გინებით. სამსახურიდან ყრიდნენ ოჯახის წევრებს და ნათესავებს, ვისაც ახალგაზრდა ბიჭი ჰყავდა ოჯახში, იჭერდნენ... დილით, ნაშუადღევს და შუაღამისას...**

**ეს არ მთავრდებოდა — 2007-2008 წლები. მაშინ შსს-ს მიმართეს არა მხოლოდ ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა, არასამთავრობოებმა, ჟურნალისტებმა და პარლამენტის დეპუტატებმა, არამედ პოლიტიკური პარტიების ლიდერებმაც, საელჩოებმაც სთხოვეს თავად ვანოს და მიშას, მაგრამ სააკაშვილის პოლიტიკურმა შსს-მ ვერც ერთი ნომრის მფლობელი ვერ დაადგინა, არადა, შტაბის სხდომაზე დაახლოებით 30 ადამიანი ვიყავით და თათბირის დროს — ერთი და იგივე ნომრებიდან გვირეკავდნენ ერთი და იგივე ადამიანები ერთნაირი მუქარის ტექსტებით“, — აცხადებს კოკა ყანდიაშვილი.**

### ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ თანამდებობა დატოვა

**საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, დავით ლომიძემ თანამდებობა დატოვა. როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განაცხადეს, დავით ლომიძემ დაკავებული თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა.**

**ვინ დაიკავებს დავით სერგეენკოს მოადგილის პოსტს, როგორც სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, ჯერ ცნობილი არ არის. დავით ლომიძე ჯანდაცვის მინისტრის მოადგილედ 2007 წლიდან მუშაობდა.**

**ინტერპრესი**

ანალიტიკური ანგარიში

# ერთ წამში, როგორც ასანთის ღერს, ისე გადაგტეხავდნენ

## რა ხდებოდა ქართულ ციხეებში?

**პატიმრების წამება, არაადამიანური მოპყრობა, საპატიმროებში ადამიანის უფლებების დარღვევის გაუგონარი მასშტაბები და ღირსების შემლახავი მოპყრობები გახდა ის ბოლო წვეთი, რომელმაც საზოგადოების მოთმინების ფიალა აავსო და ნაციონალური რეჟიმი დაასრულა. 2011 წელს, როცა ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა მონფრედ ნოვაკმა გაეროს ტრიბუნიდან მოუწოდა ხელისუფლებას, მიეხედა ამ ერთობ პრობლემური საკითხისთვის, პასუხი იყო ასეთი: საქართველოში წამება პრობლემას არ წარმოადგენსო!**

არადა, უმძიმესია იმ ისტორიების მოსმენა, რომელსაც ნაწამები პატიმრები ჰყვებიან:

**გაგა,** 36 წლის (გლდანის მე-9 დაწესებულება): „მე, როგორც იმ რაიონის წარმომადგენელს, საიდანაც ჩვენი ყოფილი პრემიერია (იგულისხმება ბიძინა ივანიშვილი), უდოთი გათავისუფლების სანაცვლოდ შემომთავაზეს, ცრუ ჩვენება მიმეცა მისი პარტიის წევრების წინააღდეგ. მე დავალებული ვიყავი ამ ადამიანისგან. ჯერ ერთი, ტყუილი რატომ უნდა მეთქვა და მეორე, როცა სკოლაში ვმუშაობდი, ფულს მიხდიდა, მამაჩემისა და ჩემი ოპერაციები დააფინანსა. არა იმიტომ, რომ პირადად ვიცნობდი, ან ის მიცნობდა, უბრალოდ, როგორც კეთილი ადამიანი გაჭირვებულ ოჯახს დაგვეხმარა. წარმოიდგინეთ, რამხელა ტვირთი უნდა ამეღო ჩემს თავზე, რომ ასეთი ცილისწამება დამეწერა. როგორ უნდა მეცხოვრა საერთოდ? ამიტომ კატეგორიული უარი განვაცხადე. ამის შემდეგ მიმაბეს მორგში გვამების გასაკვეთ მაგიდაზე და რაღაც სპეციალური მარწუხებით ფეხის თითები გადამიმტვრიეს. მირტყამდნენ ხელკეტებს, სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებდნენ და როცა გონებას ვკარგავდი, ცივ წყალს მასხამდნენ, შემდეგ ისევ აგრძელებდნენ წამებას... მაინც ყველაფერს გავუძელი“...



**დავითი,** 41 წლის (თბილისის მე-5 დაწესებულება): „რაც შეეხება წამებას, რამდენჯერმე მქონდა ამის გამოცდილება. რომ შემიყვანეს, მაგრად მცემეს, ისე მაგრად, რომ შუბლის ძვალი და კბილები ჩამემტვრა... ვერც კი წარმომედგინა, თუ ადამიანის ცემა ასე შეიძლებოდა. მათთვის ადამიანის მოკვლა არაფერს ნიშნავდა, ერთ წამში გაგანადგურებდნენ, როგორც ასანთის ღერს, ისე გადაგტეხავდნენ“.

ასეთი ჩანაწერები წიგნში ბევრია, რომელიც ასახავს კვლევის ანგარიშს ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ საქართველოს საპატიმროებში. მას რამდენიმე ავტორი ჰყავს, მათ შორის უცხოელებიც და იგი **ფონდმა „ღია საზოგადოება საქართველომ“** დააფინანსა.

რესპონდენტების მონათხრობიდან იკვეთება, რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამების ფაქტები არ წარმოადგენდა ერთი რომელიმე კონკრეტული სასჯელაღსრულებითი ან სხვა დაწესებულების პრაქტიკის ნაწილს, არამედ იგი გავრცელებული იყო საქართველოს მასშტაბით. გამოკითხული პატიმრების უდიდესი ნაწილი აღნიშნავს, რომ 2012 წლის სექტემბერში გავრცელებული „ციხის კადრები“ რეალობაა და რომ მსგავსი ფაქტები თითქმის ყოველდღე ხდებოდა. **წამების ყველაზე გავრცელებული მეთოდები იყო: მუშტებით და წიხლებით ცემა, რეზინისა და ხის ხელჯოხების რტყმევა სხეულის განსაკუთრებით მტკივნეულ ნაწილებში. პატიმრებს ნესტიან და წყლიან საკნებში ათავსებდნენ, ურტყამდნენ ყურის არეში (ე. წ. „ტელეფონის“ მეთოდი), ამყოფებდნენ გაუსაძლის სიცხეში ან სიცივეში. სცემდნენ გასაღებების დიდი ასხმით, რკინის საწოლის ფეხით ან მეტალის სხვა ნივთებით. დასჯის გავრცელებული ფორმა იყო საკვების, სასმელის არმიწოდება, თვალის კაკლებზე ხელის დაჭერა ტკივილის მიყენებისა და თვალების დათხრის იმიტაციის მიზნით... ჩამოკიდება, ელექტროდენით წამება, დამწვრობა სიგარეტით, ცხელი შანთით, ფრჩხილების დაძრობა, წამება ნარკოტიკებით ან სხვა პრეპარატებით, ძაღლების მისევა, სექსუალური ძალადობა — ყველა ეს მეთოდი ქართული ციხეების ყოველდღიურობა იყო.**

უფლებადამცველები დღეს სერიოზულად მსჯელობენ საკითხზე — რა ეშველება ამ ხალხს, რა ფორმით შეიძლება აღდგეს მათთვის სამართალი ან როგორ მოხდება მათი რეაბილიტაცია? ამ კითხვებზე პასუხი ჯერაც არ არსებობს, თუმცა, ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ორ წელზე მეტი გავიდა. ახლა იხილავენ **კანონპროექტს — დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის** შესახებ, მაგრამ ამ კანონპროექტის ავტორებმაც კი არ იციან, ეს ორგანო გამოიძიებს თუ არა 2003-2012 წლებში მომხდარ დანაშაულებს, თუ მხოლოდ ახალ ფაქტებზე მოახდენს რეაგირებას. ვის დაექვემდებარება ორგანო, ვინ დანიშნავს ან აირჩევს ხელმძღვანელს, ვის წინაშე იქნება ის ანგარიშვალდებული, როგორი იქნება ბიუჯეტი... ამ დეტალებზე ჯერ კიდევ სამსჯელოა, თუმცა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ასეთი დამოუკიდებელი სტრუქტურის შექმნა აუცილებელია.

**„იდეა ახალი არ არის,** — აღნიშნა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ **ეკა ბესელიამ, — ჩვენთან შემოსული 26 ათასი განცხადებიდან დიდი ნაწილი არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს ეხება. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ გამოძიება ჭირს, ძნელია მოწმეთა ბაზის შექმნა, ექსპერტიზის დასკვნები არ არსებობს, თვითმხილველები არ ჰყავს, ანუ მტკიცებულებების მოპოვება რთულია...**

**მივესალმები ახალი მექანიზმის შექმნას. გასათვალისწინებელია, რომ პარალელურად მიმდინარეობს შსს, პროკურატურის, საკონსტიტუციო რეფორმების ჯგუფების მუშაობა. ყველა ეს უწყება რეფორმირების პროცესშია და კარგი იქნება, თუკი მოხდება სისტემურად შეკრა, რათა კონკრეტული პროდუქტი შევქმნათ. ამ ყველაფერთან ერთად კი საჭიროა მენტალური ცვლილებები“.**

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმები ანუ სპეციალური ორგანო სხვა ევროპულ ქვეყნებშიც არსებობს და სწორედ ამ ქვეყნების პრაქტიკა აიღეს მაგალითად პროექტის ავტორებმა. ყოფილი ომბუდსმენი **გიორგი ტუღუში** მიიჩნევს, რომ **„ასეთი სტრუქტურის შექმნა ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა. მაგრამ ეს პროექტი უფრო ჰიბრიდული მოდელია, სადაც ხდება ომბუდსმენის და პროკურატურის უფლებამოსილებების შერწყმა, რამაც შეიძლება ერთგვარი უხერხულობები შექმნას. ასევე აუცილებელია, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი არ გახდეს დუბლიკატი ანუ პარალელური ორგანო უკვე არსებულისა: მაგალითად, პროკურატურის ან შს სამინისტროსი“.**

კანონპროექტზე მუშაობა გრძელდება და ასეთი დეტალები გასათვალისწინებელია, მაგრამ მთავარია, მიზანი — გაამართლებს თუ არა იმ მოლოდინებს, რომელიც ნაწამებ ადამიანებს აქვთ. სანამ ორგანო ჩამოყალიბდება პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტში იქმნება ბაზა სავარაუდო მსხვერპლთა თაობაზე. ჯერ არავინ იცის, რა გაგრძელებას ჰპოვებს ეს მექანიზმი და რა პასუხს გასცემს ახალი ხელისუფლება წინამორბედის მიერ დამცირებულ ადამიანებს? ნაწამებ პატიმართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევა ციხეებში ხდებოდა სასჯელაღსრულების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს და პრეზიდენტის ადმინისტრაციის დავალებით. მათ ამის თქმის საფუძველს აძლევთ, 2006 წელს ოფიციალურად გამოცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობა“. მიხეილ სააკაშვილმა იმ დროს განაცხადა: **„მე გატყობინებთ, რომ შევიმუშავეთ ახალი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ნულოვან ტოლერანტობას. გაუქმდება პირობითი მსჯავრი (პრობაცია), ყველა, ვინც დანაშაულს ჩაიდენს, სასჯელს საპატიმროში მოიხდის“.**

ამ სავალალო „კანონპროექტის“ მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ახალ მექანიზმზე მუშაობენ ახლა უფლებადამცველები, იურისტები, დარგის სპეციალისტები... თუმცა, ის, რაც სააკაშვილის შეუწყნარებლობას მოჰყვა, საკმაოდ მძიმე დამღად ექცათ ადამიანებს.

**„წიგნიდან რომ ფურცელი ამოხიო და გააქრო, შეიძლება... პატარა რომ ვიყავი, რაღაც თხზულება წავიკითხე, რომელიც ცუდად მთავრდებოდა. ისე ვინერვიულე, რომ ეს ბოლო ფურცელი ამოვხიე... აი, ამას ჩემს ცხოვრებას ვერ უზამ. ეს ტანჯვის წლები როგორ უნდა წავშალო, რითი უნდა შევცვალო?!“ — წერს ერთ-ერთი პატიმარი.**

**კვლევაში მოხვდა ამჟამად არსებული მდგომარეობა საპატიმროებში. გამოკითხულ პატიმართა 61 პროცენტი აცხადებს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმრების წამების ფაქტები აღმოიფხვრა. რესპონდენტთა 29 პროცენტის აზრით, წამების ფაქტები შემცირდა, მაგრამ არ აღმოფხვრილა, ხოლო 0,4 პროცენტი ამბობს, რომ არაადამიანური მოპყრობის ფაქტები იმავე ინტენსივობით ხდება.**

**მაინც დასაფიქრებელი ციფრებია!!!**

**თეა მოსია**

გახსენება

# აწმყოს მიზანშეწონილად ემსახურა



**უკვე ხუთი წელი გავიდა, რაც გარდაიცვალა აკადემიკოსი ალბერტ (ალეკო) თავხელიძე (1930-2010), მსოფლიოში ცნობილი ფიზიკოსი, მეცნიერების უბადლო ორგანიზატორი, დიდი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ღირსეული მამულიშვილი და არაჩვეულებრივი პიროვნება.**

მან ღრმა ფუნდამენტური გამოკვლევების წყალობით დიდი წვლილი შეიტანა თეორიული ფიზიკის სხვადასხვა დარგის განვითარებასა და ახალი მიმართულებების შექმნაში, მატერიის აღნაგობის თანამედროვე წარმოდგენების ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი ველის კვანტური თეორიის შექმნაში. ა. თავხელიძის სახელს ატარებს არაერთი ცნება, განტოლება თუ მეთოდი. მისი მეცნიერული კვლევის შედეგები შესულია მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში.

1986-დან 2005 წლამდე, თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე, ა. თავხელიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და ღირსეულად უძღვებოდა მას. ქვეყნის და ქართული მეცნიერებისათვის უმძიმეს პერიოდში, უაღრესად არასახარბიელო სოციალურ ფონზე, როდესაც აკადემიის ყოფნა-არყოფნის საკითხიც კი დადგა, მან უდიდესი ძალისხმევით შეძლო გადაერჩინა იგი დაშლისაგან, შეენარჩუნებინა მეცნიერებათა აკადემიის სისტემა თავისი კვლევითი ინსტიტუტებით, ქართული ინტელექტუალური პოტენციალი.

როგორც ცნობილია, ა. თავხელიძე უფრო მეტ ხანს მოსკოვსა და დუბნაში (მოსკოვის ოლქი) მოღვაწეობდა (სადაც უაღრესად საპასუხისმგებლო მაღალი თანამდებობები ეკავა, წლების განმავლობაში იყო აკადემიის ბირთვულ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი). მიუხედავად ამისა, მან უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში მაღალი ენერგიების ფიზიკის განვითარებაში. მისი თაოსნობითა და მეცადინეობით 1971 წელს ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში დაარსდა თეორიული ფიზიკის განყოფილება, ხოლო 1980 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში - მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი. ბატონი ალეკოს ხელშეწყობითა და ძალისხმევით, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდა ფიზიკოსებს უნიკალური საშუალება ჰქონდათ ემოღვაწათ საბჭოთა კავშირის ყველაზე წამყვან სამეცნიერო სკოლებში და ამის შედეგად ახლა, თვითონ არიან აღიარებული მეცნიერები. ქართველი ფიზიკოსებისათვის კარი ღიაა მსოფლიოს თითქმის ყველა ლაბორატორიაში, ალეკო თავხელიძის სახელის ხსენება დღესაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა მათთვის წარმატების მისაღწევად.

2005 წელს საქართველოში შექმნილი არაჯანსაღი პოლიტიკური ატმოსფეროს გამო ა. თავხელიძე იძულებული გახდა, დაეტოვებინა საქართველო და დაბრუნდა რუსეთში, სადაც მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო ჯერ ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკისა და კოსმოლოგიის კათედრის პროფესორი, ხოლო 2008-2010 წლებში — მისი ხელმძღვანელი. ამავე წლებში ის იყო საქართველოს მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი დუბნის ბირთვულ კვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში.

აკად. ა. თავხელიძემ მთელი თავისი სიცოცხლე შეალია მეცნიერებას და განათლებას, ახალგაზრდა თაობების აღზრდას. იგი იყო არაერთი სამეცნიერო იდეის გენერატორი, რომლებზეც აღმოცენდა მრავალი მნიშვნელოვანი მიმართულება ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკასა და ველის კვანტურ თეორიაში. 1988 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსულ ენციკლოპედიას თუ მოვიშველიებთ, ა. თავხელიძე აღიარებულია როგორც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ფიზიკოსთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი. იგი იყო უამრავი პრესტიჟული პრემიისა თუ ჯილდოს მფლობელი.

ვაჟა-ფშაველა ბრძანებდა: „სამოთხე იმისია, ვინც დიდ მადლსა სჩადის; აწმყო სააქაოა, ხოლო მომავალი — საიქიო. სულის მოგება კი მხოლოდ სააქაოს შეიძლება. მომავალიც იმისია, ვინ აწმყოს მიზანშეწონილად ემსახურებაო“. ალეკო თავხელიძემ სწორადაც რომ თავისი ამქვეყნიური ღირსეული ცხოვრებით გაიკვალა გზა ცათა სასუფევლისაკენ.

ალეკო თავხელიძე გარდაიცვალა ქ. მოსკოვში, 2010 წლის 27 თებერვალს. დაკრძალულია ტროეკუროვსკის სასაფლაოზე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქართველი მეცნიერები ყოველთვის მადლიერების გრძნობით გაიხსენებენ ჩინებულ ფიზიკოსს, ჰარმონიულ პიროვნებას, მეცნიერსა და პედაგოგს, აკადემიკოს ალბერტ (ალეკო) თავხელიძეს.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# ერთი წელი კიევის „მაიდნიდან“

**კიევის ხელისუფლებამ „მაიდნობა“ აღნიშნა. ერთი წელი გავიდა იმ შემზარავი მოვლენიდან, რაც მოხდა უკრაინის დედაქალაქში და არა მარტო იქ. იანვრის პირველი დღეებიდან დაიწყო ფართომასშტაბიანი შეტევა მაშინდელი პრეზიდენტის იანუკოვიჩისა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ — საბაბი ყველასთვის ცნობილია, თუმცა, შეხსენება ღირს, ვინაიდან არა მარტო უკრაინელებს დასჩემდათ გულმავიწყობა, არამედ მათ გულშემატკივარ ქართველთა ნაწილსაც. ის დაბეჯითებით ამტკიცებს (ისე, როგორც უკრაინელთა დიდი ნაწილი, ევროპა და ამერიკა), რომ უკრაინის მოვლენებში ლომის წილი რუსეთზე მოდის.**

**„რუსეთი დამნაშავეა, როგორც უკრაინის, ისე საქართველოს წინაშე და ამას წყალი არ გაუვა“, — აცხადებენ ისინი. ცხადია, ამ ფონზე ჩემს მიერ ნათქვამი — შეაყარე კედელს ცერცვის მსგავსი იქნება, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ შეყრილი ცერცვის ერთი მარცვალი მაინც სხვაგვარ ყურადღებას დაიმსაურებს და ცოტაოდენ ეჭვს მაინც დაბადებს ჩაბეტონებულ ანტირუსულ განწყობაში.**

სწორედ სიმართლე იძლევა იმის იმედს, რომ დღეს თუ არა ხვალ, ხვალ თუ არა ზეგ ქართველი და უკრაინელი ხალხები გაიგებენ იმ მზაკვრული გეგმის დეტალებს, რომლებიც თავს მოახვიეს მათ.

უკრაინის მოვლენების კულმინაცია გასული წლის იანვარ-თებერვალზე მოდის - კულმინაცია, 23 წლის განმავლობაში მიმდინარე ანტირუსული პროექტისა. თვით ამერიკელთა განცხადებით, 5 მილიარდი დოლარი — სახელმწიფო ფული (კერძო სხვა იყო) დაიხარჯა უკრაინის „გადემოკრატების“პროექტში.

პროექტმა მოიცვა ყველა სფერო, განსაკუთრებით განათლების სისტემა, სამხედროზე რომ არაფერი ვთქვათ. 23 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა რუსეთის სიძულვილზე დაფუძნებული ახალი უკრაინა.

მოხდებოდა თუ არა 2014 წლის „მაიდანი“, იანუკოვიჩი რომ ლაყედ არ მოქცეულიყო? ცხადია, მოხდებოდა, მაგრამ არა 2014 წელს, არამედ 2015 წელს, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ამერიკელები სწორედ არჩევნებისთვის ამზადებდნენ „მაიდანს“, თუმცა, მოულოდნელმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანეს ამერიკულ პროექტში.

მაინც, რა მოვლენებმა გადაწყვიტა „მაიდნის“ დაჩქარება? — ვილნუსის სამიტზე იანუკოვიჩის მიერ ევროკავშირის ასოცირებული წევრობის დოკუმენტზე ხელის მოწერაზე უარის თქმამ.

რას ნიშნავს, ევროკავშირის ასოცირებული წევრობა, ვინ მოიგონა და რისთვის მოიგონა „აღმოსავლეთის პარტნიორობა“?

„აღმოსავლეთის პარტნიორობა“ — ევროკავშირის მიერ გამოგონილი პროექტია, რომლის მიზანი მარტივია — რუსეთის გავლენისგან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უკრაინის, მოლდოვის, ბელორუსის და სამი ამიერკავკასიის ქვეყნის გამოყვანა. ერთის შეხედვით, პროექტი ეკონომიკური ფაქტორის მატარებელია და ევროკავშირთან დაახლოებით აღნიშნულ ქვეყნებს შანსი ეძლევათ, შევიდნენ ევროკავშირის ბაზარზე, ისე, როგორც ევროკავშირი ამ ქვეყნების ბაზარზე.

„ასოცირება“ ითვალისწინებს, როგორც თავისუფალ ვაჭრობას (ამისთვის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების კანონმდებლობის ჰარმონიზაციას), ისე მოქალაქეთა თავისუფალ მიმოსვლას და ა.შ.

მოკლედ, ასოცირებული წევრობა არის ევროკავშირში გაწევრების მოსამზადებელი „კურსები“, რომლის წარმატებით გავლის შემდეგ, ამ პროცედურას (გაწევრებას) წინ აღარაფერი დაუდგება. უდავოდ კეთილშობილური პროგრამაა, პროგრამის შესრულებისთვის ხელის შემშლელი წყალქვეშა რიფები რომ არ იყოს.

ევროკავშირის მაშინდელმა შეფმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ, თბილისში ყოფნის დროს, ისე მომხიბვლელად განაცხადა — „პატარა ქვეყანას, ნახევარმილიარდიან დიდ ევროპულ ბაზარში შესვლის შესაძლებლობა გიჩნდებათო“, რომ არავის მოსვლია თავში მარტივი კითხვა — კი, ბატონო, შანსი გვიჩნდება, მაგრამ რა შევიტანოთ ევროკავშირის ბაზარზე? საქართველო, ისე, როგორც უკრაინა, არაფერს ისეთს არ აწარმოებს, რომ ევროპის ბაზარზე გასაღდეს. აი, რაც შეეხება თავისუფალ ვაჭრობას — უდავოდ ისარგებლებს ევროკავშირი და საკუთარი პროდუქციით გატენის ორივე ქვეყნის ბაზარს, რაც თავისთავად ჩაკლავს საკუთარი პროდუქციის წარმოებას.

ევროკავშირთან ასოცირება ნიშნავდა რუსეთთან უკრაინის ეკონომიკური კავშირების გაწყვეტას. არადა, 500-ზე მეტი უკრაინული ქარხანა რუსეთის სამხედრო შეკვეთებს ასრულებდა და აქედან გამომდინარე, მსუყე ფულსაც იღებდა. იანუკოვიჩი დააფიქრა ბაროზუს ხისტმა ნათქვამმა — „ან ევროკავშირი, ან რუსეთი“ და ვილნიუსის ხელმოწერა გადადო, შემდეგი სახის თხოვნით — მოვილაპარაკოთ „სამეულმა“ — უკრაინამ, ევროკავშირმა და რუსეთმაო. ევროკავშირმა უარი თქვა და ბაროზუს პირით აღნიშნა: — „არა უშავს, ამ ხელშეკრულებას უკრაინის სხვა პრეზიდენტი მოაწერს ხელსო“.

განცხადება ავის მომასწავებელი იყო, მუქარას უფრო ჰგავდა, ვიდრე მოლაპარაკებას. რუსეთთან კავშირების გაწყვეტით, უკრაინა არა მარტო დიდ შემოსავალს კარგავდა, არამედ დიდ უმუშევრობასაც გამოიწვევდა. უკრაინამ საკომპენსაციოდ 175 მილიარდი ევრო მოითხოვა, რაც ევროკავშირისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

რუსეთმა არაერთხელ მიანიშნა, როგორც ევროკავშირს, ისე უკრაინას, რუსეთ-უკრაინის ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის პრობლემურობაზე, მაგრამ ამაოდ — ევროკავშირმა უკუაგდო მოსკოვის თხოვნა მოსკოვ-ბრიუსელ-კიევის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით. აშშ-მა, რომელიც კულისებიდან უმზერდა მოსკოვ-ბრიუსელ-კიევის პოლემიკას, უმალ გადაწყვიტა იანუკოვიჩის წინააღმდეგ ასაგორებელი ტალღის მომწიფება, ლოზუნგიც მოიძებნა — იანუკოვიჩი ხალხის მტერი, უკრაინის გაევროპელების მოწინააღმდეგე და ა.შ.



საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გამზადებული ბუნტი ერთი წლით ადრე განხორციელდა. ვითარების დამძიმებისთვის მომიტინგეებიც დაიხოცნენ და მილიციელებიც. ორივენი, დაქირავებული სნაიპერების სამიზნეზე მოექცნენ. დამქირავებლები კი ისინი იყვნენ, ვინც დღეს უკრაინის ხელისუფლებაში არიან.

მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევისა და დახოცვის სცენარი არაერთხელ გამოიყენეს ტუნისში, ლიბიაში, ეგვიპტეში და რახან იქ ამ მზაკვრულმა გეგმამ გაამართლა, უკრაინაშიც გამოიცადა. კიევის „მაიდნის“ ამბოხს წინ უძღოდა გერმანიის, საფრანგეთის და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტი კიევში და იანუკოვიჩ-ოპოზიციასთან მოლაპარაკება; უკრაინის პრეზიდენტის დაყოლიება ყველა იმ მოთხოვნაზე, რასაც ოპოზიცია აყენებდა, მათ შორის იყო ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა, ნაცვლად 2015 წლისა, 2014 წელს.

კიევში მიღწეული შეთანხმება არ მიიღო კულისებში მყოფმა აშშ-მა და ამბოხებულებს სწრაფი მოქმედებისკენ მოუწოდა. რადიკალებმა დაიკავეს სამთავრობო შენობები. პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ძლივს გაასწრო შეიარაღებულების რისხვას.

კიევის „მაიდანს“ წინ უძღოდა სხვა ქალაქებში ე.წ. ამბოხებულთა მიერ ადგილობრივ ხელისუფალთა საჯარო ცემა-ტყეპა, ცივ ზამთარში გაშიშვლება და ყინულიანი წყლის გადასხმა, კაბინეტების აჭედვა, „ბერკუტელთა“ დაჩოქება და შეურაცხყოფა, მართლმადიდებელი ეკლესიებისა და სინაგოგების რბევა და ა.შ. ყველაფერ ამას უკრაინაში აშშ-ის საელჩო უწევდა კოორდინაციას. იმჟამად უკრაინის ხშირი სტუმრები იყვნენ ამერიკელი სენატორები, დიპლომატები, სამხედრო სპეციალისტები, ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი. თავი დაგვამახსოვრეს სენატორმა მაკკეინმა, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ნულანდმა, ელჩმა პაეტმა, სხვებმა.

იანუკოვიჩი იძულებული შეიქმნა, კიევი და უკრაინა დაეტოვებინა. უკრაინაში ახალი ხელისუფლება მოვიდა — ამერიკაში ნავარჯიშები და ამერიკულად მოაზროვნე ადამიანებისგან შემდგარი, რაც მთავარია, უაღრესად ანტირუსულად განწყობილი — „უკრაინა-უკრაინელებისთვის! სახელმწიფო ენა — უკრაინული! ტელეგადაცემები — უკრაინულ ენაზე!“ და ა.შ.

უკრაინის დედაქალაქი და სხვა ქალაქები მარშებით დაიფარა. ყველა ისინი, ვინც ახალი ხელისუფლების გამოხდომებს ეწინააღმდეგებოდნენ, ციხეში აღმოჩნდნენ, როგორც მოღალატეები.

ცენტრის მიერ შექმნილმა ძალისმიერმა, სადამსჯელო პოლიტიკამ თავისთავად შვა წინააღმდეგობა რუსებით დასახლებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში. ხალხმა საკუთარი ოჯახის, ენისა და სარწმუნოების დასაცავად ხმა ამოიღო, რასაც უმალ მოჰყვა კიევის სადამსჯელო რაზმების აღმოსავლეთში გადასროლა. დაიწყო შეხლა-შემოხლა შეიარაღებულებსა და უიარაღო მოსახლეობას შორის. მოსახლეობამ იძალა და ჯოხებ-კეტებიდან თოფებსა და მოგვიანებით მძიმე შეიარაღებაზე გადასულმა კიევის მიერ გაგზავნილი ჯარი ალყაში მოაქცია და ტყვედაც აიყვანა.

საბრძოლო მოქმედებასთან ერთად დონეცკმა და ლუგანსკმა პოლიტიკურსაც მიხედა, გამართა რა საყოველთაო არჩევნები. ასე და ამრიგად გაჩნდა თვითგამოცხადებული დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკები, თავიანთი პარლამენტებითა და მთავრობებით.

გაცილებით ადრე რეფერენდუმი ჩატარდა ყირიმის ნახევარკუნძულზე, რომლის მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ (97%) თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა, ხოლო შემდეგ რუსეთთან შეერთება მოითხოვა.

მსგავსი რამ მოხდებოდა ქ.ოდესაში, მშვიდობიანი მოსახლეობის პროფკავშირების სასახლეში შეყრა და ცოცხლად გამოწვა რომ არა. ეს საშინელი აქტი, ისევე, როგორც დანარჩენი, უკრაინის ახალი ხელისუფლების ინიციატივით განხორციელდა.

სულ ახლახან, გერმანელმა ჟურნალისტმა, ამ ვანდალური აქტის მოწმემ, თავის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი წარუდგინა გერმანელ მაყურებელს. გერმანელები გაოცებული უყურებდნენ საზარელ კინოკადრებს. ფილმის ნახვის შემდეგ კი ამბობდნენ — ჩვენ გვითხრეს, რომ ოდესაში ფეხბურთის ფანები შეასკდნენ ერთმანეთს და მეტი არაფერიო.

მიზანი მარტივია — რუსი მოსახლეობის განდევნა მშობლიური მიწა-წყლიდან. მილიონამდე რუსული წარმოშობის ადამიანმა მიაშურა რუსეთს, დანარჩენი უკრაინის სადამსჯელო არმიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაერთო. ჩაერთო და მეორე გამარჯვება მოიპოვა — მოაქცია რა ალყაში 7000-იანი უკრაინელი დამსჯელი.

„მაიდნის“ წლისთავზე კიევის ხელისუფლებამ, მისმა დამხმარე ამერიკა-ევროპამ შედეგად მიიღეს ტყვედ ჩავარდნილი უკრაინული ჯარი, დემორალიზებული მეომრები, დანგრეული, მიწასთან გასწორებული სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის ქალაქები და სოფლები, გაჩანაგებული ეკონომიკა, გაუფასურებული გრივნა, წყალშეყენებული პრეზიდენტი და ხელისუფლება.

დაცემული უკრაინის გადასარჩენად მოეწყო მინსკის „ოთხეულის“ შეხვედრა, მაგრამ შექმნილი ვითარება გვიკარნახებს, რომ ამერიკელი მრჩეველები არ მოისვენებენ და საქმეს ისე წაიყვანენ, რომ კიდევ ერთ სამხედრო ოპერაცია მოხდეს.

სულ ახლახან „თეთრმა სახლმა“ განაცხადა, რომ უკმაყოფილოა უკრაინაში მიმდინარე პროცესებით; რომ ირღვევა მინსკის შეთანხმება და დამნაშავე ამაში მოსკოვია; რომ მოსკოვი დაისჯება ახალი სანქციებით და უკრაინა მიიღებს შეპირებულ შეტევითი სახის ამერიკულ იარაღს.

ვაშინგტონის განცხადება მიანიშნებს იმაზე, რომ უკრაინის სამხედრო მოქმედების „თეატრი“ ხანგრძლივი იქნება და არა ხანმოკლე, რაც თავისთავად ნიშნავს რუსეთის წინააღმდეგ ომს. აშშ მზადაა, იომოს რუსეთთან უკრაინის ბოლო ჯარისკაცამდე, ცხადია, უკრაინის და არა ამერიკის.

განვლილმა ერთმა წელმა კარდინალურად შეცვალა მსოფლიო. გამოკვეთა დასავლეთის ნამდვილი სახე, განსაკუთრებით აშშ-ის. ერთმანეთს დაუპირისპირა დასავლეთი და რუსეთი. მთელს მსოფლიოში შექმნა აგრესიული რუსეთის სახე, სხვისი მიწების მიმტაცებლის.

არადა, არავითარი „მიტაცება“ არ იქნებოდა, კიევის ახალ ხელისუფლებას რომ არ გაეტარებინა მილიტარისტული, სადამსჯელო პოლიტიკა. ვერავითარ სიზმარში (რაც არ უნდა ტკბილი ყოფილიყო ის) პუტინი ვერ ინატრებდა ყირიმის შეერთებას, თვით უკრაინის ხელისუფალთა პრიმიტიულ პოლიტიკას რომ არ შეეწყო ხელი.

წყლის ორი წვეთივით წააგავს უკრაინა-საქართველოს ხელისუფალთა ქმედება და აქედან გამომდინარე, ქვეყნის ბედიც.

ევროპა, რომელიც დასაწყისში მოჭარბებული მტრობით იხილავდა უკრაინის თემას და თავიდან ბოლომდე რუსეთს ადანაშაულებდა, ნელ-ნელა ცვლის პოზიციას. საფრანგეთის ორმა ყოფილმა პრეზიდენტმა სარკოზიმ და ჟისკარ დესტენმა განაცხადეს, რომ რუსეთის მიერ ყირიმის მიერთება სულაც არ არის ანექსია. სარკოზის აზრით, ყირიმში მცხოვრები მოსახლეობის გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცეს მსოფლიომ. მან ასეთი კითხვაც დასვა — თუ კოსოვოს დამოუკიდებლობა შეიძლება, რატომ არ შეიძლება ყირიმის რუსეთთან მიერთება?

ჟისკარ დესტენმა კი თქვა, რომ ყირიმი ეკატერინე მეორემ გამოგლიჯა თურქეთს ხელიდან, მაშინ უკრაინა, როგორც სახელმწიფო არ არსებობდა. ორივე მათგანმა განაცხადეს, რომ უკრაინა არ შეიძლება იყოს არც ნატოს და არც ევროკავშირის წევრი. ის უნდა იყოს ნეიტრალური სახელმწიფო ევროპა-რუსეთს შორის.

სარკოზი-ჟისკარ დესტენის ნათქვამი უკრაინასთან მიმართებაში მარტო უკრაინას ეხება და ჩვენ არა? საქართველოს გუშინდელ და დღევანდელ ხელისუფალთა, აგრეთვე მათ ირგვლივ შემოკრებილთა მისამართით უნდა ითქვას, რომ უკრაინასთან ერთად ჩვენც გვეხება. საქართველო, ვერც ნატოს ეღირსება და ვერც ვეროკავშირს. რასაც ეღირსება — ნატოს ე.წ. სამხედრო-სასწავლო ცენტრია, რომელიც ძვირად დაუჯდება ქვეყანას.

„ეს ცენტრი, არავის წინააღმდეგ არ იქნება მიმართული“, — აცხადებენ ე.წ. ქართველი პოლიტიკოსები. მსოფლიოში ჯერ არ შექმნილა არც ერთი სამხედრო-სასწავლო ბაზა, მტრედების მოშენებით რომ იყოს დაკავებული. მაინც რამდენად ბრიყვად უნდა ჩათვალო ხალხი ან მეზობელი რუსეთი, რომ ესოდენ დაუფიქრებელი, მჩატე განცხადება გააკეთოს. საქართველოს ხელისუფლებამ იცის რა დანიშნულების იქნება ე.წ. ნატოს სასწავლო ცენტრი? ეტყვის მას ვინმე, ამის თაობაზე? ისეთი საიდუმლოებით მოსილი ხომ არ იქნება მომავალი ცენტრი, როგორც ლუგარის ბიოლოგიური ცენტრი, დღესაც რომ არავინ იცის მისი რეალური დანიშნულება?

რუსეთის წინააღმდეგ საწვრთნელ პოლიგონად ქცეულმა უკრაინამ, ერთი წლის განმავლობაში დამარცხება იგემა. ეკონომიკაც გაჩანაგდა და სოციალური ყოფაც. მეორე „მაიდანი“, ნარინჯისფერისგან განსხვავებით, ქვეყნისთვის საშინელი გამოდგა, მიუხედავად ამ ქვეყნის დიდი ტერიტორიის და მოსახლეობის სიდიდისა. იქნება თუ არა ეს საბედისწერო გამოცდა ბოლო, უკრაინისთვის? ხელისუფალთა მოქმედებიდან გამომდინარე, ალბათ არა.



უკრაინის მოვლენები ჩვენთვის სამაგალითოდ უნდა იქცეს. მაგრამ როდესაც ჩვენი წარსული გაკვეთილები სამაგალითოდ არ გვექცა, სხვისი გახდება სამაგალითო?!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# ქამი — უღირსი ძე ნოესი



**ქამი ნოეს ერთ-ერთი შვილია. იაფეტის და სემის ძმა. ქამმა კარავში ჩაძინებულ მთვრალ და შიშველ მამას დასცინა. ნოემ კი ის და მისი შთამომავლობა დაწყევლა. აქედან იღებს სათავეს „ხამის" მოდგმა. ისინი ყოველთვის არსებობდნენ და, ალბათ, მომავლაშიც იარსებებენ. „Грядет царство Хама" („მოდის ქამის მეუფება") — ასე განჭვრიტა ივანე ბუნინმა ბოლშევიკური ჯოჯოხეთი და თავისი მოსაზრება ბრწყინვალე მაგალითით დაადასტურა: „წითელარმიელმა მატროსმა მოწყალების და ჩაცხრილა, იმიტომ რომ უსაქმქურობისგან მოიწყინა". ქართულ ენაში „ქამის", ანუ „ხამის" ცნებას არა აქვს ისეთი ღრმა დატვირთვა. არა და დროა, ეს ტერმინი ბუნინისეული მნიშვნელობით დამკვიდრდეს. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოში „ხამები" მომრავლდნენ. ჩვენმა დუხჭირმა ყოფამ, პოლიტიკურმა თუ სოციალურმა ქარტეხილებმა, ფასეულობათა აღრევამ დააბნია და ცრუ ღირებულებებისკენ უბიძგა ადამიანებს. 20-25 წელი არც თუ ისე მცირე დროა და ამასობაში ახალი თაობაც წამოიზარდა და დამკვიდრდა, ახლებურად მოაზროვნე და ახალ კერპებზე მლოცველი... სულ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა თვითდამკვიდრების დაუძლეველი სურვილით შეპყრობილი, ამპარტავნულად გაჯგიმული, თვითკმაყოფილი და გაბღენძილი სახე „ხამისა".**

ნამდვილი **„ხამი"** აგრესიულია, დაუნდობელი, უხეში, ხეპრე, „მიმწოლი". ყველანაირად ცდილობს „თავისი გაიტანოს". „ხამების" უმრავლესობა ცოდნითა და სიტყვათა მარაგით ვერ დაიკვეხნის, ამიტომაც ერთადერთი მათი იარაღი, უკეთეს შემთხვევაში — პრიმიტიული დემაგოგია, თუ არადა, შეურაცხყოფა, ბილწსიტყვაობა, უკანმოუხედავი შეტევაა. „ხამი" უპირობოდ, უკრიტიკოდაა დარწმუნებული თავის სიმართლეში. თუმცა, სადღაც შიგნით, შფოთვით მოცულ სულის სიღრმეში, ხანდახან გასკდება რეალობის განცდის პაწია საპნის ბუშტი, გაკრთება შიში. მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდება და ბუშტუკიც ძალიან პატარაა. ზნეობა, რომელიც გაცილებით მაღალი კატეგორიაა, ვიდრე „პრაქტიკული უნარ-ჩვევები", ვერ პოულობს ადგილს „ხამის" თვითდაჯერებულ, თვითკმაყოფილ სულში. ანდა რა საჭიროა, მორალი, სინდისი, სიკეთე — ეს ყველაფერი მხოლოდ ხელისშემშლელია, ზედმეტი ბარგია. და, აქედან გამომდინარე, კიდევ ერთი თავისებურება „ხამისა" — ის სრულიად მოკლებულია ღირსების გრძნობას. ქურდს, ავაზაკს, როსკიპს აქვს ღირსების შეგრძნება, აქვს რაღაც ზნეობრივი საყრდენი — თუმცა, ხშირად დამახინჯებული, „თავისებური" — მაგრამ აქვს. „ხამს" ღირსება საერთოდ არ გააჩნია. არ სჭირდება, ვინაიდან საკუთარი ღირსება სხვისი ღირსების აღიარებას გულისხმობს. თუმცა, „კაცი" უნდა რომ ერქვას და საკუთარი „კაცობის" დადასტურებას ყველასგან მოითხოვს — კატეგორიულად, უცილობლად. „ხამის" აგრესია დაფარული სიმხდალეა. ძლიერებთან ქლესა, მონურად მორჩილი, უფროსთა ნების ბრმა, დაუფიქრებელი შემსრულებელი. საკმარისია ამ მდაბიომ ძალაუფლების, თანამდებობის სულ პატარა ლუკმა ჩაიგდოს ხელში და მაშინვე გაიფურჩქნება, იზრდება, დიდდება, იბერება. სხეული და სახე მედიდურობას ასხივებს, მანერები — თვითდაჯერებულობასა და სიამაყეს. ცოტაც და უკვე ჭკუას გვასწავლის, გვმოძღვრავს... თანაც დარწმუნებულია, კიდევაც რომ ცრუობდეს, მაინც ყველა ვალდებულია, მისი ირწმუნოს...

უკანასკნელი 10-12 წელია, გამოჩნდა „ხამის" ახალი ნაირსახეობა. ეს, შეიძლება ითქვას „VIP-ხამია". ტიპაჟი არსით იგივეა, მაგრამ უფრო დახვეწილი, შელამაზებული. ის „ელიტაში" გაძრომას ლამობს, საზოგადოებაში სახელის მოსახვეჭად იბრძვის. ამ გზაზე კი არაფერს თაკილობს, ყველაფერზე მიდის, უკადრებელზეც კი. საკმაოდ ინფორმირებულია, მაგრამ არა განათლებული. „განათლებული" მშვენიერი სიტყვაა, ცოდნითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით ზნეობრივად ამაღლებულს, „განათლებულს" ნიშნავს. „ხამი" ვერასდროს გახდება განათლებული, ვინაიდან ეს ტრანსფორმაცია თვისობრივ ცვლილებას გულისხმობს. განათლებული — ღირსეული, ჭეშმარიტი ფასეულობების მატარებელი, კულტურული ადამიანია. „ხამი" კი უღირსი და მდაბიო — მისი ანტიპოდია. „VIP-ხამის" IQ (უნარ-ჩვევები) შესაძლოა, მაღალიც იყოს. ის ხშირად კარგად ერკვევა თავის საქმეში, ყოველთვის „ნიუანსების" კურსშია, მაგრამ საოცარი დისჰარმონია იგრძნობა მის გარეგნობასა და ბუნებაში. მიუხედავად იმისა, რომ „სერიოზულ ბრენდებს" ატარებს, თვალშისაცემია მისი უგემოვნება. მისი ოთახის კედელს, ნაირ-ნაირ დიპლომებთან ერთად უცხო ენის სერტიფიკატიც ამშვენებს, მაგრამ შექსპირი, დიკენსი, გოეთე და ჰიუგო არ წაუკითხავს. არსსა და ფორმას შორის უამრავი შეუსაბამობაა. „VIP-ხამისთვის" პირველხარისხოვანია ატრიბუტები! სოციალური სტატუსის სიმბოლოები! „VIP-ხამი" სიმბოლოებითაა დახუნძლული, როგორც ნაძვის ხე სათამაშოებით. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მხოლოდ ფორმის სასარგებლოდაა. „VIP-ხამის" მდაბიო ბუნება ვერ წვდება სიმბოლოების რეალურ არსს, მათ სიღრმეებს. „VIP-ხამის" მანერები და ქცევა კომიკურია, ვინაიდან მდაბიო, მწირი და ბინძური სულის პატრონს მცდელობა აქვს, ითამაშოს არისტოკრატი. „VIP-ხამი" მისი სათაყვანო" პერსონაჟის ნიღაბსაც ვერ ირგებს. სიყალბე ყველა ხვრელიდან ჟონავს.

ეს თამაში, როგორც წესი, უშედეგოა, „VIP-ხამის" ბუნება სიდინჯესა და მედიდურობაში ჩადებული ამპარტავნება, ხეპრეობა, მოუთოკავი აგრესია სიდინჯისა და მედიდური სიმშვიდის ნიღაბს არღვევს... ქრება „VIP" და რჩება ჩვეულებრივი „ხამი" — უზნეო და ამაზრზენი! აგრესიული მიზანსწრაფულობა და კარიერული წარმატების ჟინი — „კარგი თანამდებობა!!!" (კარგ სახელს ის ვერასდროს იხვეჭს). ხშირად ამოატივტივებს „ხამებს" ჩვენი საზოგადოების ზედაპირზე. არც ისე ადვილია ამოიცნო „ხამი", განსაკუთრებით „VIP-ხამი" — ფორმა ნიღბავს შინაარსს, მაგრამ კარგად დააკვირდით. დარწმუნებული ვარ, ასეთებს ბევრს იპოვით.

**გოგი ნანეიშვილი,**
**ექიმი-ფსიქიატრი**

## ◉ ალიან-ჩალიანი

### ლუდის მწარმოებლები ღარიბაშვილთან შეხვედრას აპირებენ

**ამის შესახებ EFFES Georgia-ს კორპორაციულ საქმეთა დირექტორმა ნიკოლოზ ხუნძაკიშვილმა ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოსა და ბიზნესომბუდსმენ, ეკონომიკური საბჭოს მდივან გიორგი გახარიას შორის „თიბისი ბანკის" სათაო ოფისში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.**

**მისი თქმით, ბოლო 3 კვირაა ლუდის ინდუსტრიის წარმომადგნელების მხრიდან მიმდინარეობს კამპანია - „არ გამიძვირო ლუდი".**

**„ბიზნესომბუდსმენი, ეკონომიკური საბჭოს მდივანი გიორგი გახარია არის ერთადერთი პიროვნება, რომელიც ჩვენთან კონტაქტზეა. შესაბამისად, მასთან რამდენიმე შეხვედრა გვქონდა. მივიღეთ იმის რწმუნებულობა, რომ ჩვენთან სექტორულად გაიმართება შეხვედრა უფრო მაღალ დონეზე — პრემიერ-მინისტრის დონეზე და ჩვენი საკითხები, რაც 3 კვირის განმავლობაში დავსვით, იქნება ამა თუ იმ ფორმით გათვალისწინებული. დღეს ზუსტად ვერ ვაკონკრეტებ, თუმცა, პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ აუცილებლად გახდება ცნობილი", — განაცხადა ხუნძაკიშვილმა.**

### პუშკინის ქუჩაზე გაზიფიცირების პროცესი დასრულდა

**თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, დედაქალაქის განვითარების ფონდის ხელმძღვანელმა თემურ ხომერიკმა და კომპანია „ყაზტრანსგაზ თბილისის" ხელმძღვანელმა გია ბენაშვილმა პუშკინის ქუჩის №25-ში არსებულ საცხოვრებელ სახლში გაზიფიცირების დასრულების პროცესი დაათვალიერეს. დედაქალაქის მერმა გაზი გელოვანების ოჯახში აანთო.**

**როგორც დავით ნარმანიამ განაცხადა, თბილისის განვითარების ფონდი აქტიურად იწყებს მუშაობას და ასრულებს იმ ვალდებულებებს, რომელიც ფონდს ჰქონდა აღებული.**



**თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელის თემურ ხომერიკის განცხადებით, დღეს ამოქმედდა ერთ-ერთი ქვეპროგრამა, რომლის მიხედვითაც თბილისის განვითარების ფონდის მიერ დაკისრებული ვალდებულება შესრულდა. „ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოსახლეობა სახლის ტერიტორიიდან ნაწილ-ნაწილ გადიოდა და კეთდებოდა ეს სახლები. დღეს გაზის სამუშაოები დასრულდა. დედაქალაქში 1750-მდე შენობაა, რომელიც ხელის შევლებას საჭიროებს. ჩვენ ამას ერთ წელიწადში ჩვენი მწირი ბიუჯეტით ვერ მოვაგვარებთ, თუმცა, ვცდილობთ, რაციონალურად გადავანაწილოთ თანხები", — განაცხადა ხომერიკმა.**

### გენერალურ შტაბში ახალი ხელმძღვანელები წარადგინეს

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემეცნებით-საგანმანათლებლო ცენტრში გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ პირად შემადგენლობას ახალი ხელმძღვანელები წარუდგინა.**

**თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლის პოზიციაზე პოლკოვნიკმა მამუკა ცხვედიანმა პოლკოვნიკი გიორგი კერესელიძე შეცვალა. J-5/9 სტრატეგიული დაგეგმვის, სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე პოლკოვნიკი მამუკა შიუკაშვილი დაინიშნა. ორივე მათგანს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.**

**ახალ ხელმძღვანელებს სიტყვით გენერალური შტაბის უფროსმა და თავდაცვის მინისტრის მოადგილემ კახა ოქროჯანაშვილმა მიმართეს. მათ პოლკოვნიკებს წარმატება უსურვეს და მხარდაჭერა აღუთქვეს.**

### ყირგიზეთში ქართული ღვინოები დარეგისტრირდა

**შვიდ ქართულ ადგილწარმოშობის დასახელებაზე ყირგიზეთის საპატენტო უწყებამ სარეგისტრაციო მოწმობა გასცა.**

**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ახაშენის, წინანდლის, მუკუზნის, ნაფარეულის, ქინძმარაულის, ტვიშის და ხვანჭკარას დასახელებაზე განსაკუთრებული უფლება, ყირგიზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, „ღვინის ეროვნულ სააგენტოს" მიენიჭა.**

**„სავალდებულო პროცედურების გავლის შემდეგ, ყირგიზეთის რესპუბლიკის ადგილწარმოშობის დასახელების სახელმწიფო რეესტრში ხვანჭკარას, ტვიშის და კიდევ ხუთ დასახელებაზე რეგისტრაციის ვადა 10 წლით, 2024 წლის 31 მარტამდე განისაზღვრა. ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვა როგორც ყირგიზეთში, ასე სხვა ქვეყნებში გავლენას მოახდენს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, რეგიონის შემოსავლების გაზრდასა და ეკონომიკის გაუმჯობესებაზე", — აცხადებენ საქპატენტში.**

### ცრუ შეტყობინებისთვის მკაცრად დაისჯება

**180-ე სკოლაში გუშინ სასწავლო პროცესი შეწყდა, რისი მიზეზიც ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობის თაობაზე სკოლაში განხორციელებული ზარი იყო. ამის გამო შენობიდან მოსწავლეთა და მასწავლებელთა ევაკუაცია განხორციელდა, ადგილზე მუშაობდნენ გამნაღმველებიც.**

**„თბილისის 180-ე საჯარო სკოლაში ასაფეთქებელი მოწყობილობის შესახებ შესული ზარის ავტორი ამავე სკოლის მოსწავლე აღმოჩნდა. იგი კანონის შესაბამისად დაისჯება", — განმარტეს შსს-ში.**

### ანასეულში დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას აღადგენენ

**სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ ოზურგეთის რაიონის სოფელ ანასეულში ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი დაათვალიერა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების გეგმები ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად განიხილა.**

**ანასეულის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ბაზის სამუშაო სპეციფიკას გაეცნენ სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად, მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან მოისწრაფიშვილი და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი ლევან უჯმაჯურიძე.**

**„მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრს დაქვემდებარებაში „ანასეულის" ცენტრი გადაეცა. აღნიშნული ცენტრის სრულყოფილი ფუნქციონირება რეგიონის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ შევიმუშავეთ გეგმა, რომლის განხორციელების შედეგად, გაუმჯობესდება სამუშაო პირობები, მოხდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკულად, სრულად განახლება და თანამედროვე სტანდარტებზე გადაყვანა. მე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებმაც, მძიმე პერიოდების მიუხედავად, შეინარჩუნეს ცენტრი, ეს გმირობის ტოლფასია. ჩვენ ახალ სიცოცხლეს შევძენთ ცენტრს და მას დასავლეთ საქართველოში უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-კვლევით ბაზად ვაქცევთ", — განაცხადა ოთარ დანელიამ.**

**ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკურ ცენტრს 50-წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს. ლაბორატორიაში წლების განმავლობაში ხორციელდებოდა აგროქიმიური გამოკვლევები და მათ საფუძველზე ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და სასუქების რაციონალურად გამოყენების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.**

**ინტერპრესი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**საქართველო მზადაა, განიხილოს „ახალი ფორმები“ და „ახალი შესაძლებლობები“ აფხაზებთან და ოსებთან დიალოგისთვის, მაგრამ ამისთვის აუცილებელია რუსეთის თანამშრომლობა.** ამის შესახებ განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ 26 თებერვალს პრაღაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან შეხვედრის წინაპერიოდში.

**„თუ დაიწყება დიალოგი და რუსეთი მართლაც ხელს შეუწყობს და მოტივირებულს გახდის პირდაპირ დიალოგს ჩვენსა და სამხრეთ ოსეთს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ. აფხაზეთთან შეთანხმებაში გათვალისწინებულია საერთო თავდაცვითი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, აგრეთვე რუსი და აფხაზი ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნა გაერთიანებული სარდლობით. გამოქვეყნებული წინასწარი ვარიანტის თანახმად, მოსკოვისა და ცხინვალის შეთანხმება გულისხმობს სამხრეთი ოსეთის მთელი რიგი სტრუქტურების რუსეთთან უშუალო გაერთიანებას.**

შედეგად, ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის შეხვედრები შეჩერდა ოთხი თვით. როგორც ადრე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, ხანგრძლივი შესვენების მიზეზი იყო „რუსეთის მოქმედებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე“.

# საქართველო სოხუმთან და ცხინვალთან დიალოგის ახალი ფორმებისთვის მზად არის

### ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ სეპარატისტულ ხელისუფლებებს აუცილებლად სჭირდებათ „სიგნალი“ მოსკოვიდან



**და აფხაზებს, ჩვენ და ოსებს შორის, ჩვენ მზად ვართ ყველა ეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სტატუსთან, გადავდოთ გვერდზე და საერთოდ ისინი არ განვიხილოთ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, არამედ დავიწყოთ კონკრეტული საკითხების განხილვა: ჰუმანიტარულის, ეკონომიკურის, ბიზნესის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, წყლის, გაზის და სხვ. მოდით, გადავწიოთ ეს საერთო წითელი ხაზები გვერდზე და დავიწყოთ ადამიანური პრობლემებიდან“,** — განაცხადა 24 თებერვალს აბაშიძემ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ინტერვიუში.

საქართველოს პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის სიტყვებით, თბილისი რთულად მიიჩნევს პირდაპირი კონტაქტების მოწესრიგებას სეპარატისტულ ხელისუფლებებთან. როგორც აბაშიძემ განაცხადა, ქართული მხარისთვის ცხადია, რომ ცხინვალი და სოხუმი „არ არიან თავისუფალნი თავიანთ არჩევანში, თავიანთ გადაწყვეტილებებში“.

**„ისინი ელოდებიან. ჩემი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ ისინი მოტივირებული არ არიან, თუ მართლაც მოსკოვი არ აკეთებს ძლიერ სიგნალებს, რომ საჭიროა ასეთი დიალოგის დაწყება, მათ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ ამის გადაწყვეტა. დარწმუნებული ვარ, კრემლისგან დამოკიდებულება ნამეტანი მაღალია“,** — განმარტა ზურაბ აბაშიძემ.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთის ბიუჯეტის ორ-მესამედს შეადგენს ფული, რომელიც რუსეთის ბიუჯეტიდან შემოდის. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, აბაშიძის სიტყვებით, რუსეთი უზრუნველყოფს ბიუჯეტის 90 პროცენტს.

ალსანიშნავია, რომ ადრე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა მოსკოვის მზადყოფნის შესახებ, ხელი შეუწყოს თბილისს სოხუმთან და ცხინვალთან კონტაქტების მოწესრიგებაში.

### „ძალიან ცუდ ფონზე“

**სპეციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი მომავალი შეხვედრა კარასინთან მიმდინარეობს „ძალიან ცუდ ფონზე“ და რომ თბილისმა ვერ დაინახა „შემხვედრი ნაბიჯები“ მოსკოვის მხრიდან საქართველოს ახალი ხელისუფლების მცდელობის საპასუხოდ — მოაწესრიგოს ურთიერთობანი. კერძოდ, მისი სიტყვებით, სიტუაცია გააღრმავა ახალმა შეთანხმებებმა — ნოემბერში ხელმოწერილმა შეთანხმებამ რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ და ხელმოსაწერად დაგეგმილმა შეთანხმებამ რუსეთის ფედერაცია-**

**„იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ასეთ მკვეთრ რეაგირებას ვაკეთებთ, ჩვენი რუსი კოლეგები ამბობენ: რა არის აქ ახალი, ჩვენ 2008 წლიდან აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ხელი მოვაწერეთ ათობით შეთანხმებას, და არაფერი ახალი აქ არ არის. ჯერ ერთი, ახალი ბევრი რამეა, იქ საუბარია ამ რეგიონების ღრმა ინტეგრაციის შესახებ რუსეთში, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და ასე შემდეგ საკითხებზე. მეორე მომენტიც, თუ ახალი არაფერია, რა საჭირო იყო ხელი მოეწერათ და შეექმნათ განზილების განწყობილება საქართველოში?“,** — აღნიშნა აბაშიძემ, თანაც განმარტა, რომ თბილისს „ვერც წარმოუდგენია“ თავისი ტერიტორიული პრობლემების გადაწყვეტა, თუ არა, „მხოლოდ მშვიდობიანი გზით“.

საქართველოს პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ ამჯერად კარასინს ხვდება უპირატესად სავაჭრო-სასაქონლო ურთიერთობებთან დაკავშირებით „პრაქტიკული იმპლამენტაციის“ შესახებ საკითხების განსახილველად, რომლებიც გაფორმდა ჯერ კიდევ 2011 წელს და რომლებიც ითვალისწინებენ ვაჭრობის საერთაშორისო მონიტორინგს გამტარ პუნქტებზე სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის საზღვრებზე შვეიცარიის მონაწილეობით.

შეგახსენებთ, რომ აბაშიძისა და კარასინის შეხვედრები რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა შორის პირდაპირი მოლაპარაკების ერთადერთი ფორმატია. ეს ფორმატი ითვალისწინებს მხოლოდ ქვეყნებს შორის ჰუმანიტარულ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არის ჟენევის დისკუსიების განხილვის საგანი. ამ მოლაპარაკებაში, რომლებიც რეგულარულად ეწყობა 2008 წლის შემოდგომიდან, მონაწილეობას ღებულობენ გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის წარმომადგენლები.

### „კაპიტულაციური პოლიტიკა“

**შარშან ნოემბერში ოპოზიციაში გადასული პარტიის „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელმა და ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, როდესაც ცნობილი გახდა რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის ახალი შეთანხმების ხელმოწერის გეგმების შესახებ, ის გამოვიდა რუსეთთან დიალოგის წინააღმდეგ კარასინ-აბაშიძის შეხვედრების ფორმატში.**

**„უკვე დიდი ხანია, ცნობილია, რომ ამ ფორმატმა ამოწურა თავისი თავი და არ არის არანაირი აუცილებლობა პირდაპირი დიალოგისთვის საქართველოს ოკუპანტ ქვეყანასთან“,** — განაცხადა პეტრიაშვილმა „ამერიკის ხმის“ რუსულ სამსახურთან ინტერვიუში.

პეტრიაშვილი ამტკიცებს, რომ კარასინ-აბაშიძის დიალოგის ფორმატში სავაჭრო-ეკონომიკური საკითხების გარდა, თბილისის თანხმობით, ასევე მიმდინარეობს დიალოგი პოლიტიკურ თემატიკაზეც, რაც, მისი სიტყვებით, დამღუპველია საქართველოსთვის, ვინაიდან შედეგად მივყავართ ჟენევის დისკუსიის გაუქმების ფორმატთან, ეს კი გამოიწვევს საერთაშორისო მონაწილეობის დასუსტებას საქართველოს ტერიტორიული პრობლემების მოწესრიგების საქმეში. როგორც ოპოზიციონერი ამბობს, ამას მივყავართ იმასთან, რომ შემცირდება საერთაშორისო ზემოქმედება რუსეთზე საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებით.

ოპოზიციონერს მიაჩნია, რომ ეს პოლიტიკა ხორციელდება ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის მითითებით, რომელიც, პეტრიაშვილის მტკიცების თანახმად, აგრძელებს ქვეყნის მართვას კულისებიდან. ივანიშვილის მოტივაცია არის ის, როგორც ალექსი პეტრიაშვილი აცხადებს, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას არ შეუძლია, გადაიტანოს რუსეთის ზეგავლენა, რომელიც ღრმავდება ქვეყანაში ეკონომიკურ და პოლიტიკური სიტუაციის გაუარესების ფონზე.

### „მინიმალური ზიანი“

**საქართველოს უნივერსიტეტის ადიუნქტ-პროფესორი გიორგი მჭედლიშვილი მიიჩნევს, რომ დიალოგის არსებობა უკეთესია, ვიდრე მისი არარსებობა, თუმცა, ამ დროს ექსპერტი დარწმუნებულია, რომ რუსეთი არანაირად არ არის დაინტერესებული თბილისთან ურთიერთობებში დაძაბულობის შემცირებაში.**

**„რუსეთის მოქმედებათა ფონზე პოსტსაბჭოთა სივრცეში უკვე ცხადია, რომ საქართველოს ტერიტორიული პრობლემები არის შედეგი არა კონფლიქტისა თბილისსა და აფხაზეთთან და ოსეთთან, არამედ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტისა“,** — თქვა პოლიტოლოგმა ჩვენთან ინტერვიუში.

შესაბამისად, ამბობს მჭედლიშვილი, დიალოგი მოსკოვის სრულ კონტროლქვეშ არსებულ დე ფაქტო ხელისუფლებებთან უპერსპექტივოა. რაც შეეხება რუსეთს, პოლიტოლოგის სიტყვებით, რეგიონში თავისი ყოფნის გაძლიერებით მოსკოვმა გვიჩვენა, რომ არ აპირებს მოახდინოს რაიმე უფლებამოსილებათა დელეგირება გამოყოფილი ტერიტორიების ხელმძღვანელობასთან.

გიორგი მჭედლიშვილს მიაჩნია, რომ რუსეთი ღებულობს ზომებს ზემოქმედების ბერკეტების შენარჩუნებისთვის, ამ შემთხვევაში ტერიტორიული პრობლემების სახით, რათა შეაჩეროს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

**რაც შეეხება პირდაპირი დიალოგის ფორმატს, მჭედლიშვილს მიაჩნია, რომ მისი გაგრძელება გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ იგი „თუნდაც მინიმუმამდე მაინც შეამცირებს ზიანს“. მისი სიტყვებით, კარასინისა და აბაშიძის შეხვედრები ნაწილობრივ ასრულებენ ამ ფუნქციას, მაშასადამე, მიაჩნია ექსპერტს, შეხვედრები უნდა გაგრძელდეს.**

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**ერაყში საერთაშორისო კოალიციის ავიაციამ „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერები გაანადგურა**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, ერაყის ელ-კაიმის რაიონში ავიაშეტევის დროს გაანადგურეს ბოევიკების ლიდერები აბუ მუსლიმ ტურკმანი, აბუ მუსლიმ ჩეჩენი, აბუ უბაიდა ალ-აზაუი და ტამერ მუჰამადი. ოპერატიული მონაცემებით, ამავე რაიონში დაბომბვის დროს იმყოფებოდა „ისლამური სახელმწიფოს“ ეგრეთ წოდებული ხალიფი ბაკრ ალ-ბაგდადი.

**პოროშენკომ ხელი მოაწერა ბრძანებულებას თავად ვლადიმირის — „რუსულ-უკრაინულ“ სახელმწიფოს შემქმნელის — ხსოვნის აღსანიშნავად**



როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ბრძანებულებას ხელი მოეწერა „უკრაინის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და ტრადიციების განმტკიცების მიზნით, რათა შეახსენონ რუსი-უკრაინის ისტორიული მემკვიდრეობის როლი მათს ჩამოყალიბებაში, ქრისტიანობის მიღების მნიშვნელობის აღიარება უკრაინის საზოგადოებრიობის განვითარებისთვის“ და თავადის გარდაცვალების მეათასე წლისთავთან დაკავშირებით.

**აშშ-მა მოამზადა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ახალი პაკეტი დონბასში სიტუაციის გამწვავების შემთხვევისთვის**



სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ჯონ კერიმ კონგრესში მოსმენის დროს განაცხადა, რომ სანქციები შეიძლება შევიდეს ძალაში, „თუ ადგილი ექნება მოქმედებებს, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ საგრძნობ პასუხს“. წინა დღით სახელმწიფო მდივანმა გამოთქვა რწმენა, რომ რუსეთი „იტყუება აშკარად“, როდესაც უარყოფს თავისი ჯარების ყოფნას დონბასში.

**ჩინეთში ვეფხვის ბოკვერი მეათე სართულიდან გადმოხტა, იგი საახალწლო ფეიერვერკმა შეაშინა**

ვეფხვის შვიდთვიანი ბოკვერი ჰყავდათ გალიაში კიდევ ერთ თავის თანამოძმესთან ერთად. მაგრამ ჩინეთის ახალი წლის წინადღით მან შეძლო გაქცევა. ვეფხვის ბოკვერმა მფლობელს ახლა სასჯელი ემუქრება.



# პენსია, ოქროს საბადო და მორალი...

**ვარ 93 წლის მარტოხელა პენსიონერი, მოგეხსენებათ, ამ წლოვანების ადამიანს უჭირს გადაადგილება, ოფიციალურ დაწესებულებებში, პოლიკლინიკაში, აფთიაქში, სურსათის საყიდლად და ა. შ. დაუძლურებულს უძნელდება არა მარტო ერთჯერადად მისვლა, არამედ განცხადებების წერა. ან კი ვინ აქცევს ყურადღებას ჩვენს განცხადებებს? რამდენჯერ უარით მიპასუხეს. წინასწარ აქვთ გამზადებული სტანდარტული პასუხი ყოველ თხოვნაზე. არადა, ჩემი კატეგორიის ადამიანები, ვფიქრობ, მრავლად არ ცხოვრობენ ქალაქში. საკითხავია, დაინტერესებულია თუ არა მთავრობა ამ კატეგორიის პენსიონერების სტატისტიკით, ან ღრმად მოხუცებულთათვის, უმწეო მარტოხელა ადამიანებისათვის რა შეღავათებია გათვალისწინებული? ჩემთვის, მარტოხელა პენსიონერისათვის ჯერჯერობით არაფერია. როგორც გამომიცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ ვარ შეზღუდული და მაქვს ოსტეოპოროზი, უარი მითხრეს, კანონში არ არის ამ მხრივ თქვენი დახმარება გათვალისწინებულიო.**

უწინ, 1991-1995 წლებში თითოეული მარტოხელა პენსიონერი აღრიცხული იყო პოლიკლინიკაში, მიმაგრებული იყო უბნის ექიმზე. ავადმყოფობა, ამ ექიმის ზედამხედველობითა და მკურნალობით მიმდინარეობდა. ზოგჯერ პური და სურსათიც კი მიჰქონდათ ავადმყოფთან. დღეს კი შევეგუეთ ჩვენს უპატრონობას. მრავალშვილიანი, გამათხოვრებული ოჯახების ფონზე ვიღას სცალია მარტოხელა ღრმად მოხუცებული პენსიონერისთვის? თუნდაც ის გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი იყოს, ამერიკისგან როგორც მეცნიერი, უამრავ ნომინაციაზე წარდგენილი, რომელიც 50 წელიწადი მუშაობდა წყალსაცავების ფილტრაციაზე.



იყო თუ არა შესაძლებლობა სახელმწიფოს შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება – პენსიების მატების დაპირება? – არადა, ამხელა პრემიები 130+183 მილიონი ლარი დარიგდა 150 პარლამენტარზე. მათ შორის კი არავის არ გაუჩნდა სინდისის ქენჯნა, უარი ეთქვა ამ საჩუქარზე. გამოდის, რომ უპასუხისმგებლოდ, ერთი ადამიანის ნოდარ ხადურის აკვიატებული აზრით მოსახლეობა, პენსიონერები დარჩნენ ყოველგვარი შეღავათის გარეშე. ბოლო დროს, დაგვიანებით ტელევიზიით გვაცნობეს, რომ ფინანსთა სამინისტრომ მხოლოდ 100 მლნ. ლარი გამოყო 800 000 პენსიონერისათვის (თვეში 10 ლარის მომატებით) მაშინ, როცა 150 კაცს პრემიის სახით დაურიგდათ 321 მლნ. ლარი. არადა, შეიძლებოდა ეს თითქმის ნახევარი მილიარდი ლარი გაენაწილებინა კარგ ფინანსისტს ისე, რომ პენსიონერებს თვეში დამატებით მიეღოთ 50 ლარი, ხოლო სახელმწიფოსგან დავიწყებულ მეცნიერთათვის – 630 დოქტორისათვის, რომლებსაც დამსახურება აქვთ არა მარტო საქართველოს, არამედ კაცობრიობისთვის. პარლამენტარების დამსახურება ხომ მიზერულია მეცნიერთა დამსახურებასთან შედარებით?

მათთვის გამოეყოთ 70 ლარი პენსია თვეში და ბინები აეგოთ 7000 უსახლკარო ადამიანისათვის, რომელთა მდგომარეობაც ისე გვთრგუნავს მთელ დანარჩენ მოსახლეობას.

1630 პენსიონერი მეცნიერებათა დოქტორის პენსია – 150 ლარი გათანაბრებულია ისეთი ადამიანების პენსიებთან, რომლებსაც საერთოდ არ უმუშავნიათ სახელმწიფო უწყებებში. ე. ი. 421 მლნ. ლარით კმაყოფილი დარჩებოდნენ პენსიონერებიც, მათ შორის, მეცნიერებიც (1630 კაცისთვის საკმარისი იყო მხოლოდ ორი მილიონის გამოყოფა) და უსახლკარო ადამიანებიც. მაგრამ არჩიეს 150 პარლამენტარის მომადლიერება ხალხის კუთვნილი თანხით და არაფრად ჩააგდეს 800 000 მოქალაქის და მათ შორის უსახლკაროთა გაუსაძლისი ცხოვრება. განა ეს საპატიებელია? საკითხავია, რით განსხვავდება ხადური გიგი უგულავასგან, რომელმაც ასეულობით ადამიანი მაინც დააკმაყოფილა, უფრო მეტიც, ვიდრე პარლამენტარების რაოდენობაა. პარლამენტარები კი, რომლებიც მსახურობენ, ეს ხომ დიდი სიკეთეა დღეს, როცა მოსახლეობის 70 პროცენტი უმუშევარია. თანაც, ისინი ხომ მაღალ ხელფასებს ღებულობენ, ისინი ხომ არც კი ითხოვდნენ და არც ელოდებოდნენ სახელმწიფოსგან ასეთ საჩუქარს. საკვირველია, არც ერთი მათგანი არ გამოსულა და არ განუცხადებია, ბატონებო, ჩვენ ვმუშაობთ და ესეც დიდი ბედნიერებაა. ამასთან, მაღალ ხელფასებს ვფლობთ, ეს ზედმეტი თანხა მოხმარდეს ჩვენს გაჭირვებულ ხალხსო. არც ერთი პარლამენტარი არ აღმოჩნდა ამ ღირსების დონეზე, ამის შემდეგ რა პატრიოტობაზე და კეთილსინდისიერებაზეა ლაპარაკი? შეიძლება გვქონდეს ასეთი ხალხისგან რაიმე იმედი?

აქვე არ შემიძლია, არ აღვნიშნო: 1991-1993 წლებში ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, როცა ბიუჯეტს ადგენდნენ, გამორჩათ პრეზიდენტის ბიუჯეტში ჩართვა, მისთვის თანხის გამოყოფა. დიდი ბოდიშით მიმართეს ზვიადს და სთხოვეს თვით მას მიეთითებინა გასამრჯელო თანხის რაოდენობა. მცირე დაყოვნების შემდეგ, მან უპასუხა: – „ჩაწერეთ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ხელფასის ანალოგიურად, იმდენივეს მხოლოდ თუმანი მოუმატეთო“. აი, ასეთი იყო ის.

რაც შეეხება პენსიის 10 ლარით მომატებას, მე კატეგორიულად ვარ წინააღმდეგი და დანარჩენ პენსიონერებსაც მოვუწოდებ 10 ლარზე უარი თქვან. ჩვენ, პენსიონერები, შეიძლება გამათხოვრებულები კი ვართ, მაგრამ გვაქვს არანაკლები ადამიანური ღირსება, ვიდრე პარლამენტარებს და თვით ხადურს, ამიტომაც მოგიწოდებთ, პენსიონერებო, შეინარჩუნეთ ღირსება და ამ 10 ლარზე თქვით უარი და შეეწიეთ თვით ხადურს. ჩვენ შეჩვეულები ვართ გაჭირვებას, ამასაც გაუძლებთ, ამ სიძნელესაც გადავლახავთ და უარს ვიტყვით„წყალობაზე“ – 10 ლარზე.

**კიდევ** ერთი საკითხის შესახებ, სადრისის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ. ის, რაც მოხდა, სამარცხვინოა ჩვენი ერისათვის? სად არის ისტორიისადმი ჩვენი მოკრძალებული დამოკიდებულება?

როგორც უკვე აღვნიშნე, ვარ გეოლოგი (უფრო ზუსტად, ჰიდროგეოლოგი). ბოლნისის ოქროს საბადოები და, მათ შორის, საყდრისის საბადო, 1980 წელს საბჭოთა კავშირში კვლევის ობიექტად ითვლებოდა. ეს კვლევა დავალებული ჰქონდა ლენინგრადის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. მას უნდა შეესწავლა და მიეღო ზომები, რომ აქ შექმნილიყო ოქროს მოპოვების ბაზა. ლენინგრადის ინსტიტუტმა დაწვრილებით შეისწავლა ეს საბადო და აღმოაჩინეს, რომ აქ ოქროს მოპოვება გამოიწვევდა არა მარტო ამ უბნის, არამედ მთელი მდ. ხრამის აუზის ბოლნისიდან ქალაქ რუსთავამდე ტერიტორიის მოწამვლას, არამარტო ზედაპირული წყლების, მდინარეული ქსელის, არამედ მიწისქვეშა წყლებისაც, ე. ი. ამ რაიონის მიწაზე მოყვანილი მწვანილი და რძის ნაწარმი და ა. შ. არ იქნებოდა ჯანსაღი და მისაღები. ეს გამოიწვევდა ბავშვების და, საერთოდ, მოზარდი თაობის მრავალნაირ დაავადებას. ამიტომ იმ ყბადაღებულმა საბჭოთა კავშირმა, რომელმაც დიდი, მრავალნაირი მსხვერპლით ერთი საუკუნე გვაცხოვრა, რა საკვირველიც არ უნდა იყოს, უარი თქვა ჩვენს ტერიტორიაზე მადნის დამუშავებაზე, გამდიდრებაზე, ოქროს მოპოვებაზე. ამის მიზეზი იყო ის, რომ ზიანდებოდა მოსახლეობა, მისი გენოფონდი და არ ისურვეს ჩვენი დაავადება-გადაგვარება. ოქროს მისაღებად მადანი უნდა დამუშავებულიყო ციანიდით, უძლიერესი მჟავით, რაც გაირეცხებოდა მდ. ხრამის წყლით და, მაშასადამე, ეს მჟავა დააბინძურებდა მთლიანად მდ. ხრამის აუზს ქალაქ რუსთავამდე. სწორედ ამიტომ ლენინგრადის ინსტიტუტმა უარი თქვა და არ ააშენა აქ მადნის გამამდიდრებელი ქარხანა.

დღეს კი ჩვენი საკუთარი სახელმწიფო არ ითვალისწინებს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესების მოსალოდნელობას და წლების განმავლობაში ხდება ბოლნისის მადნის ოქროდ გადამუშავება.

როგორ უნდა ავხსნათ ყოველივე ეს? მთავრობა არ ზრუნავს მის მომავალ თაობაზე? მტერია თავისი მოსახლეობის? ფული, გამდიდრებაა ყველაფერი?

**აქვე** მინდა ერთ საჭირბოროტო თემასაც შევეხო. ამაზე მსჯელობას ყოველნაირად ვერიდებოდი, მაგრამ არ გამოდის, გადავაბიჯე სირცხვილის ზღვარს და გადავწყვიტე სამსჯავროდ გავხადო.

არ შემიძლია, ვაპატიო ჩვენს შოუმენებს ყოვლად შეუწყნარებელი, ზღვარს გადაცდენილი ამორალური საქციელი. მინდა ვკითხო მათ, რის მიღწევას ცდილობენ, როცა გამოჰყავთ უსირცხვილო ქალი, რომლებიც შიშველ უკანალს (მაპატიეთ ეს გამოთქმა) უჩვენებენ მაყურებელს. მაინტერესებს, თუ ეს გადმოაქვთ დასავლეთიდან, არა მგონია, თვით დასავლეთში, მაღალი მორალის მქონე საზოგადოება ასეთი მანერით სიშიშვლის გამოჩენას მიესალმებოდეს. და თუ ეს მართლაც დასავლეთის გავლენით არის ნაკარნახევი, რატომ არ ეკითხება ჩვენს ფართო საზოგადოებას, რამდენად მისაღებია და საჭიროა ქალის სიშიშვლის აგიტაცია? რატომ ცდილობენ დასცენ ქალის მორალი? ხომ ხედავთ მავნე ჩვევის გავრცელება (თუნდაც ნარკომანიისა) როგორ მოედო ახალგაზრდობას, ახლა უნდათ გავრცელდეს პროსტიტუციაც? უნდათ „ცნობადმა“ პირებმა კატალიზატორის როლი შეასრულონ და გარყვნან ახალგაზრდობა? რატომ არ ეკითხებით პატრიარქს, ასეთი მოქმედება თუ არის დასაშვები. ამასთან ერთად, საჭიროა აღიკვეთოს ბილწსიტყვაობა. რატომ არ ცდილობთ დაუჯეროთ ღვთივმოვლენილ პატრიარქს? ასეთი გამოვლინებები მისაღები არ არის ქრისტიანული მორალისთვის. გაიგეთ, ჩვენ ჩვენი გზა უნდა გვქონდეს. მადლობა ღმერთს, რომ არავინ გვზღუდავს. უნდა გვეყოს ძალა, ქრისტიანული რწმენა, რომ უარვყოთ საქართველოში ბილწსიტყვაობა და ქალისათვის დამამცირებელი სანახაობა – სიშიშველი თეატრში და ეკრანზე. მათი გამოჩენა უნდა აიკრძალოს, რადგან ეს რყვნის საზოგადოებას, ჩვენ პატარა ერი ვართ და ჩვენი განადგურება სწორედ ამ გზით ყველაზე ადვილია. ამიტომ, ამას არ უნდა ვუწყობდეთ ხელს. ისედაც ვნადგურდებით სხვადასხვა მიზეზით. თუ გვინდა შევინარჩუნოთ ჩვენი თავი, თვითმყოფადობა და ისტორია, შევიგნოთ: ჩვენ ამ გზით ნამდვილად გადავშენდებით. ჩვენ მხოლოდ ერთადერთი – მაღალი ზნეობა გადაგვარჩენს, ქრისტიანული რწმენით ვიცხოვროთ, თუ გვინდა შევინარჩუნოთ ჩვენი ისტორია და სახელმწიფოებრიობა.

**ელენე აბაშიძე,**
**გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,**
**93 წლის პენსიონერი.**

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანჟელა წოწორიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანჟელა წოწორია (პირადი №62004012041), მის: თბილისი, დოლიძის ქუჩა, კორპუსი 11, სართული 8, ბინა №20;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თბილისი, დოლიძის ქუჩა, კორპუსი 11, სართული 8, ბინა №20 (საკადასტრო კოდი: 01.10.17.032.002.01.020).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10317.97 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, პლიუს სპეციალისტის მომსახურების საფასური – 933.56 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 10 მარტს, 10:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** ანჟელა წოწორია (პირადი №62004012041), მის: თბილისი, დოლიძის ქუჩა, კორპუსი 11, სართული 8, ბინა №20;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 10 მარტის 10:30 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.**

## რაგბი



# „ბორჯღალოსნები“ კორიდისთვის ემზადებიან

**28 თებერვალს მადრიდი რაგბის ევროპის ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩის უმასპინძლებს: ესპანეთის ნაკრები საქართველოს ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნები“ ამ მატჩისთვის ბარსელონაში ემზადებიან.** პრინციპულ პაექრობაში ტრავმების გამო ჩვენს ნაკრებს ვერ დაეხმარებიან დავით ზირაქაშვილი („კლერმონი“), ლაშა მალაღურაძე („ბაგნერე“), მამუკა გორგოძე („ტულონი“), შალვა მამუკაშვილი („სეილ შარქსი“), ვასილ კაკოვინი („ტულუზი“), დავით ხინჩაგიშვილი („მეტრო რასინგი“), ჯაბა ბრეგვაძე (უგუნდო), ვახტანგ მაისურაძე („ალბი“), ვიქტორ კოლელიშვილი („კლერმონი“) და თედო ზიბზიბაძე („პერგო“).

**შაბათს ესპანეთში საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ითამაშებს:** მიხეილ ნარიაშვილი („მონპელიე“), ლევან ჩილაჩავა („ტულონი“), ზურაბ ჟვანია („სტად ფრანსე“), სიმონ მაისურაძე („ვალანსიენი“), კარლენ ასეიშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი (ორივე-„ბრივი“), გიორგი ნემსაძე („ტარბი“), ლევან დათუნაშვილი („ორიაკი“), გიორგი ჩხაიძე („ლილი“), კოტე მიქაუტაძე („ტულონი“), გიორგი თხილაიშვილი („ბათუმი“), შალვა სუთიაშვილი („მასი“), ბექა ბიწაძე („ლოკომოტივი“), ლაშა ლომიძე („ბეზიე“), დიმიტრი ბასილაია („პერპინიანი“), ვასილ ლობჟანიძე („არმაზი“), ვაჟა ხუციშვილი („ხარები“), ლაშა ხმალაძე („ლელო“), მერაბ შარიქაძე („ორიაკი“), დავით კაჭარავა („ენისეი“), თამაზ მჭედლიძე („აჟენი“), ალექსანდრე ხუციშვილი („ყოჩები“), ალექსანდრე თოდუა(„ლელო“), მურაზ გიორგაძე („არმაზი“), მერაბ კვირიკაშვილი („მონლუსონი“), გიორგი აფციაური („აია“).

**ესპანეთის ნაკრები:** ფრანკ ლაბე, ავგუსტინ ორტიზი, ხესუს მორენო, ფერნანდო ლოპესი, ბენატ ოზქუი, ხუან ანაია, დავიდ გონსალესი, ხესუს რეკუერდა, დავიდ ბარერა, ხავიერ დე ხუანი, გაუტიერ გიბუნი, ხაიმე ნავა, იგნასიო ვილანოვა, პილემ რუე, პაბლო ფეიხოო, დანიელ სნი, პაბლო ფონტესი, მარკოს პოჯი, მარტინ ერედია, ტიბო ვისენსანა, ხულენ გოია, ბრედლი ლინკატერი, სერხო ობანელი.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +48 | 2 | 10 |
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | +61 | 1 | 9 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | +5 | 1 | 5 |
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | +1 | 1 | 5 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | -32 | 1 | 1 |
| გერმანია | 2 | 0 | 0 | 2 | -80 | 0 | 0 |

**28 თებერვალი. საქართველო-ესპანეთი, რუსეთი-რუმინეთი, პორტუგალია-გერმანია.**

**ლექსო ცინცაძე**

## ძიუდო

# გლაზგოდან ბაქოში!

**ძიუდოში 2015 წლის ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით სერიოზული ცვლილებები მოხდა. ევროპის ოლიმპიური კომიტეტების, ძიუდოს ევროპული კავშირისა და ბაქოს პირველი ევროპული თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით წლევანდელი კონტინენტის ჩემპიონატი ძიუდოში „ბაქო 2015“-ის პროგრამის ფარგლებში გაერთიანდება.** ამის დამადასტურებელი ოფიციალური წერილი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში, „ბაქო 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტიდან გუშინ მოვიდა.

თავდაპირველად დადგენილი იყო, რომ ძიუდოისტებს შორის ევროპის ჩემპიონატი გლაზგოში უნდა გამართულიყო, თუმცა, დიდი ბრიტანეთის ძიუდოს ფედერაციის განმარტებით, ორგანიზაციული კუთხით სერიოზული პრობლემები შეექმნათ და ღონისძიების სხვაგან გადატანა ითხოვეს.

იყო საუბარი, რომ ჩემპიონატი კვლავ ჩელიაბინსკში ჩაეტარებინათ, როგორც შარშანდელი პირველობის მასპინძელ ქალაქში, თუმცა, საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ის „ბაქო 2015“-ის ფარგლებში გაეერთიანებინათ.

ამრიგად, ძიუდოში პირველი ევროპული თამაშების გამარჯვებულს, ავტომატურად მიენიჭება ევროპის ჩემპიონის ტიტულიც.

**ბეჟან დოლიძე**

## კალათბურთი

# ზაზა სასტარტოში და 12 ქულა



**ზაზა ფაჩულიას „მილუოკი ბაქსმა“ შინ „ფილადელფია“ 104:88 დაამარცხა. ზაზა ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 19 წუთი დაჰყო. ამ დროში ქართველმა ცენტრმა გუნდს 12 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა შესძინა.**

ფაჩულიამ 11-დან 5 ორქულიანი ჩააგდო და 2-დან ორივე საჯარიმო სროლა გამოიყენა. ზაზას პარკეტზე ყოფნისას „მილუოკიმ“ მეტოქეზე 13 ქულით მეტი ჩააგდო.

„მილუოკი“ 32 მოგებით და 25 წაგებით აღმოსავლეთ კონფერენციაში მეექვსე ადგილზეა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ჩოგბურთი

# რაფას არგენტინული მეოთხედფინალი და მეცხრე ადგილი

**რიო დე ჟანეიროს შემდეგ მსოფლიო რეიტინგის მეოთხე ნომერი რაფა ნადალი არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესის შეჯიბრებაში ჩაერთო და კორტის მასპინძელ ფაკუნდო არგუელიოს 6:4, 6:0 დამარცხების შემდეგ მეოთხედფინალში გავიდა. რაფა 22 წლის პატაგონიელს პირველად შეხვდა.**

მატჩი საათსა და 4 წუთს გაგრძელდა. ამ სათამაშო დროის განმავლობაში ნადალმა 5 ბრეიკი, 2 ეისი შეასრულა და საკუთარ მოწოდებაზე შეცდომა არ დაუშვია.

მეოთხედფინალში რაფა კიდევ ერთ არგენტინელს ფედერიკო დელ ბონისს შეხვდება, რომელმაც თავის მხრივ იტალიელ პაოლო ლორენცის მოუგო.

არგუელიოს დამარცხების შედეგად რაფა ნადალმა კარიერის განმავლობაში 714-ე მატჩი მოიგო. ამ რაოდენობით მალიორკელმა ლეგენდარულ გერმანელ ბორის ბეკერს გაასწრო და მეცხრე ადგილზე აინაცვლა, პირველი რვა ადგილი კი შემდეგ ჩოგბურთელებს უკავიათ: ჯიმი კონორსი (აშშ, 1253), ივან ლენდლი (აშშ-ჩეხოსლოვაკია, 1071), როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1004), გილერმო ვილასი (არგენტინა, 929), ჯონ მაკინროი (აშშ, 875), ანდრე აგასი (აშშ, 870), შტეფან ედბერგი (შვედეთი, 801), პიტ სამპრასი (აშშ, 762).

**კობა კობახიძე**



## ფეხბურთი

# თოფი ლონდონში გავარდა



**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის 6 შეხვედრაში „მონაკომ“ ერთადერთი გოლი გაუშვა. თუ გავითვალისწინებთ მონტე-კარლოელთა მეტოქეების — „ბენფიკას“, „ზენიტისა“ და „ლევერკუზენის“ მოერიშეთა შეტევით პოტენციალს, ამ ფაქტს არსენ ვენგერი გვარიანად უნდა შეეშფოთებინა, რომელიც, სხვათა შორის, ერთ დროს თავად წრვთნიდა თანამემამულე სამთავროელებს. როგორც პირველმა მერვედფინალმა დაადასტურა, ასე არ მოხდა.**

**„არსენალი“ — „მონაკო“ 1:3.**

მასპინძლებს გამოჯანმრთელებული სანჩესი დაუბრუნდათ, მაგრამ ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა გაზაფხული ვერ მოიყვანა — სეზონის წინ მთელი რიგი ვარსკვლავების წასვლით საგრძნობლად დასუსტებულმა საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონმა საკუთარი სახის შენარჩუნება მაინც მოახერხა და, დიდი ალბათობით, შემდეგ ეტაპზე ითამაშებს.

საპირისპირო სურათია მეორე წყვილში, სადაც შარშანდელი ლიგის ფინალისტი „ატლეტიკო“ საფუძვლიანად მიიჩნეოდა ფავორიტად. ხომ გსმენიათ, ეშმაკს არ სძინავსო — სიმეონეს პირველივე ტაიმში მოუხდა ტრავმირებული სიკეირასა და ნიგესის შეცვლა, რამაც ბუნდესლიგის ბინადრებს სენსაციური გამარჯვების მოპოვება გაუადვილა.

**„ლევერკუზენი“ — „ატლეტიკო“ 1:0.**



საპასუხო მატჩში ესპანელებს დისკვალიფიცირებული გუნდის კაპიტანი გონიდი და მინვრიდან გაძევებული ტიაგო დააკლდებათ, თუმცა, იმის თქმა, რომ ორრაუნდიანი დეულის ბედი უკვე გადაწყვეტილია, დამეთანხმებით, ნაადრევია — საკუთარ მოედანზე მადრიდელებს ნებისმიერი მოწინააღმდეგის დაჩოქება შეუძლიათ.

**გიორგი შოთაძე**

## ინტერნეტიდან

# გულდამთუთქველი უკრაინელი გოგონა

**უკრაინელი მოდელი ანა ჩიზი რახანია ატკბობს მოდისა და ქალთა სინარნარის მოყვარეთ და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ამიერიდან სწორედ ეს ასული წარმოადგენს შეჭირვებული და ათას პრობლემებში გახვეული უკრაინის საფეხბურთო ნაკრებს. ყოველ შემთხვევაში, თავად ანუშკა ირწმუნება, ხახოლთა მთავარი საფეხბურთო გუნდის თილისმა სწორედ მე ვარო.**




ანა ჩიზი ევროპაში მეტად სახელგანთქმული ასულია და სწორედ ამიტომაც იგი არა მხოლოდ მოდელობითაა დაკავებული, ერთ-ერთ ფრანგულ სერიალშიც მონაწილეობს და რა გასაკვირია, რომ მისი როლის უმთავრესი დანიშნულება მაყურებელთა თვალთა ტკბობაა.

ანა და უამრავი ლამაზმანი, რომლებიც უკრაინაში სახლობენ, კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუშნი არიან იმისა, რომ მშვენიერ ასულთა საუფლო მხოლოდ რუსეთი სულაც არ არის და ჩვენს „ტკბილ“ მეზობლებზე არანაკლები ლამაზმანები ხახოლთა მიწაზეც დააბიჯებენ.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნიდაო

# მინისტრებისა და მათი მოადგილეების 2014 წლის ხელფასები

**2014 წელს მინისტრებთან შედარებით, მათმა მოადგილეებმა უფრო მეტი ხელფასი აიღეს. IDFI-ს (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი) ცნობით, თუკი გასულ წელს, ყოფილ შს მინისტრს ალექსანდრე ჭიკაიძეს შრომის ანაზღაურების სახით - 81 569 ლარი დაერიცხა, მის მოადგილეს დავით ხუციშვილს 139 393 ლარი განუსაზღვრეს.**

IDFI-ს ინფორმაციით, 2014 წელს მთავრობის წევრებიდან პრემიების მიღებაზე უარი – ჯანდაცვის მინისტრმა **დავით სერგეენკომ,** ენერგეტიკის მინისტრმა **კახი კალაძემ** და დევნილთა მინისტრმა **სოზარ სუბარმა** განაცხადეს.

ორგანიზაციის განმარტებით, გასულ წელს შრომის ანაზღაურების სახით დაერიცხათ:

**თეა წულუკიანი,** იუსტიციის მინისტრი – 87 500 ლარი (ხელზე მიღებული შემოსავალი – 70 000);

**ალექსანდრე ჭიკაიძე,** ყოფილი შს მინისტრი – 81 569 ლარი (ხელზე მიღებული შემოსავალი 65 255);

**გიორგი კვირიკაშვილი,** ეკონომიკის მინისტრი – 81 250 ლარი (ხელზე მიღებული შემოსავალი 65 000);

**თამარ სანიკიძე,** განათლების მინისტრი – 81 250 ლარი (ხელზე მიღებული შემოსავალი – 65 000);

**დავით სერგეენკო,** ჯანდაცვის მინისტრი – 75 000 ლარი (ხელზე მიღებული შემოსავალი – 60 000);

**კახი კალაძე,** ენერგეტიკის მინისტრი – 75 000 ლარი (ხელზე მიღებული შემოსავალი 60 000);

**სოზარ სუბარი,** ლტოლვილთა მინისტრი – 75 000 ლარი (ხელზე მიღებული შემოსავალი 60 000);

**თამარ ბერუჩაშვილი,** საგარეო საქმეთა მინისტრად და მოადგილედ მუშაობისთვის ერთად 72 856 ლარი (ხელზე მიღებული შემოსავალი – 58 285).



„როგორც ირკვევა, თეა წულუკიანს სამუშაო შესრულებით მიღებული აქვს 87 500 ლარი. აღნიშნული თანხიდან 75 ათასი ლარი მის თანამდებობრივ სარგოს და პრემიერ-მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სახელფასო დანამატს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი 12 500 ლარი მინისტრმა პრემიის, ან სხვა დანამატის სახით მიიღო.

2014 წლის განმავლობაში, გიორგი კვირიკაშვილსა და თამარ სანიკიძეს თანამდებობრივი სარგოსა და პრემიერ-მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სახელფასო დანამატის გარდა, თითოეულს მიღებული აქვს – 6 250 ლარის ოდენობის პრემია ან სხვა დანამატი“, – აღნიშნულია IDFI-ს მიერ მომზადებულ მასალაში.

ორგანიზაციის შეფასებით, მინისტრების შრომის ანაზღაურება გარკვეულწილად დარეგულირდა, თუმცა, მინისტრების მოადგილეებისა და სამინისტროს სხვა თანამდებობის პირების შემთხვევაში, განსხვავებული ვითარება იკვეთება.

მათი ცნობით, 2014 წელს, სხვადასხვა სამინისტროში პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის განსხვავებული პრაქტიკა შეინიშნება.

„საჯარო სამსახურში შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ის ფაქტიც მოწმობს, რომ 2014 წელს, მთელ რიგ სამინისტროებში მინისტრებზე მაღალი შემოსავლები აქვთ აღებული მათ მოადგილეებსა და სხვა თანამდებობის პირებს. მაგალითად, მაშინ, როდესაც შს მინისტრის შრომის ანაზღაურებამ 81 559 ლარი შეადგინა, მისი მოადგილის დავით ხუციშვილის შრომის ანაზღაურება 139 393 ლარი იყო, ხოლო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის დავით ცინარიძის ანაზღაურება 105 920 ლარი იყო.

2013 წელს მინისტრის შრომის ანაზღაურებაზე გაცილებით დიდი თანხა – 145 368 ლარის ოდენობით მიღებული აქვს შს მინისტრის მოადგილეს ლევან იზორიას“, – აღნიშნულია ორგანიზაციის დასკვნაში.

რაც შეეხება მინისტრების მოადგილეების შრომის ანაზღაურების რაოდენობას, IDFI-ს ინფორმაციით, შრომის ანაზღაურების სახით დაერიცხათ:

**დავით ხუციშვილი,** შს მინისტრის მოადგილე –139 393 ლარი;

**მარიამ ვალიშვილი,** ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე – 102 720 ლარი;

**ილია ელოშვილი,** ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე – 101 360 ლარი;

**ირაკლი ხმალაძე,** ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე – 101 360 ლარი;

**გოჩა ლორთქიფანიძე,** იუსტიციის მინისტრის მოადგილე – 93 340 ლარი;

**ალექსანდრე ბურჭულაძე,** იუსტიციის მინისტრის მოადგილე – 92 440 ლარი;

**ალექსანდრე ტაბატაძე,** იუსტიციის მინისტრის მოადგილე – 92 080 ლარი;

**დიმიტრი ქუმსიშვილი,** ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე – 86 775 ლარი;

**დავით ლეჟავა,** ფინანსთა მინისტრის მოადგილე – 76 416 ლარი;

**აკაკი ლოდია,** სპორტის მინისტრის მოადგილე – 67 314 ლარი;

**რატი ბრეგაძე,** სპორტის მინისტრის მოადგილე – 67 314 ლარი;

**იური ნოზაძე,** სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე – 63 092 ლარი;

**ქეთევან ციხელაშვილი,** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე – 57 507 ლარი ლარი;

**ქეთევან ნატრიაშვილი,** განათლების მინისტრის მოადგილე – 57 467 ლარი;

**დავით გალეგაშვილი,** სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე – 57 379 ლარი;

**თამარ მარსაგიშვილი, გიორგი შარვაშიძე და ლია გიგაური,** განათლების მინისტრის მოადგილეები – 53 040 ლარი. აღსანიშნავია, რომ მინისტრების მსგავსად, მათ მოადგილეებს საშემოსავლო გადასახადის პროცენტი დაექვითათ.

ზემოთ აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ საჯარო სამსახურში უნდა მოწესრიგდეს არა მხოლოდ პრემიები, არამედ სახელფასო დანამატების გაცემის სისტემა და თანამდებობრივი სარგოები და პრემიები, სისტემის ცვლილება ერთჯერადი ქმედება არ უნდა იყოს.

**თეონა მანაგაძე**



**მამა გურამი, მეუღლე თამარ შერვაშიძე, შვილები გურამი, გიორგი, ლევანი, შვილიშვილები ბარბარე, მარიამი, დავითი, ელენე, დები მარიკა, თამარი ოჯახებით იუწყებიან**

**დავით სუპატაშვილის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 II, სულხან ცინცაძის (ყოფილი საბურთალოს) 38, კორ. 2. გამოსვენება 1 III, 14 საათზე. ანტონ მარტყოფელის სახ. ეკლესიიდან, სულხან ცინცაძის ქ. №44.**

---

**ჯემალ, გიორგი, ზურაბ, გიორგი შერვაშიძეები ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა**

**დავით გურამის ძე სუპატაშვილი**

**და სამძიმარს ვუცხადებთ მეუღლეს თამარ შერვაშიძესა და მის ოჯახს.**

◉ კრიმინალი

## ამოღებულია უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა

**სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1949 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი აბიკო თ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით სოფელ ზედა ეწერში დააკავეს.**



**ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ვარგისია სროლისთვის. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.**

◉ რუსული ფული მაინც საქმეშია

# ცოტნე გამსახურდიას სკანდალური სია!

**საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი ცოტნე გამსახურდია ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს რუსულ კომპანიებზე გასხვისებული აქტივების სიას აქვეყნებს და აცხადებს: „ამის შემდეგ ეს ვიღაც კაკო ბობოხიძე რუსეთში მწვანილის გაყიდვაზე ლაპარაკობს?!“**

**ნაციონალური მოძრაობის დროს რუსულ კომპანიებზე გასხვისებული აქტივები**:

1. ჟინვალჰესი-რუსული კომპანია „რაოესი“;
2. რიონჰესი-რუსული კომპანია „ენერჯი ინვესტი“;
3. გუმათი1- რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
4. გუმათი2-რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
5. ლაჯანურჰესი-რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
6. შაორჰესი-რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
7. ვარციხე1-რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
8. ვარციხე2-რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
9. ვარციხე3-რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
10. ვარციხე4-რუსული კომპანია „ენერგო პრო“;
11. ხრამი1-რუსული კომპანია „რაოესი“;
12. ხრამი2-რუსული კომპანია „რაოესი“;
13. ხრამი3-რუსული კომპანია „რაოესი“;
14. ხრამი4-რუსული კომპანია „რაოესი“;
15. ხრამი5-რუსული კომპანია „რაოესი“;
16. ყაზტრანსგაზ თბილისი-რუსული კომპანია “გაზპრომი“;
17. გაზ.კომპანია „იტერა“ – რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია;
18. შავ ზღვაში ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ფირმა „ალექსი“ – რუსული კომპანია „გაზპრომის“ შვილობილი კომპანიაა;
19. გარდაბნის მე-9 ენერგო ბლოკი-რუსული კომპანია „ინტერ რაო“;
20. გარდაბნის მე-10 ენერგო ბლოკი-რუსული კომპანია „ინტერ რაო“;
21. მაღალი ძაბვის გადამცემი 500 კილოვატიანი ხაზები-რუსული კომპანია „ინტერ რაო“;
22. „მადნეული“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;
23. „კვარციტი“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;
24. საბორნე გადაზიდვები ფოთიდან და ბათუმიდან „რუსეთის რკინიგზა“;
25. კომპანია „ბილაინი“ – რუსული კომპანიაა;
26. „აზოტი“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;
27. „გაერთიანებული ქართული ბანკი“ – რუსული კომპანია „ვითიბი“;
28. „ლუკოილ ჯორჯია“ – რუსული კომპანია „ლუკოილი“;
29. ზესტაფონის „ფერო“ – რუსული კომპანია „პრომიშლენ ინვესტი“;
30. ელმავალთმშენებელი ქარხანა – რუსული კომპანია „დემა კომპიუტერი“;
31. არამიანცის, თბილისის №1 საავადმყოფო – რუსული კომპანია „ბატუსი“;
32. თბილისის წყალი-რუსული კომპანია “ჯორჯიან ვოთერ ენდ პაუერი“.

ხელისუფლებაში ყოფნის დროს ნაციონალების გამონათქვამები რუსულ კაპიტალზე:

**გოკა გაბაშვილი: „რუსული ფული ქართულ პოლიტიკაში ცუდია, ბიზნესში – კარგი“.**

**ალექსანდრე ხეთაგური: „მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა და სამხედრო აგრესია განახორციელა, ქართულ კომპანიებს რუსულ კომპანიებთან ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობა ექნებათ.“**

**ვანო მერაბიშვილი: „ფულს სუნი არ აქვს“ და მისთვის ნებისმიერი კაპიტალი და ინვესტიცია მისასალმებელია. „ვითიბი-ბანკი“, „რაოე-ესი“ აქტიურ ინვესტიციებს ახორციელებენ. ნებისმიერი ადამიანი, რა წარსულიც არ უნდა ჰქონდეს მას, მივესალმები“**

**პავლე კუბლაშვილი: „საპარლამენტო უმრავლესობისათვის რუსულ ფულს ქართულ პოლიტიკასა და ეკონომიკაში სხვადასხვა დატვირთვა აქვს.**

როდესაც რუსული კაპიტალი სხვადასხვა ფორმით ქართულ ბიზნესში ჩაედინება, ეს ცუდი არაა.“ – აღნიშნავს გამსახურდია.

**თეონა რამაზაშვილი**

## განცხადება

2015 წლის 22 აპრილს, 13 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №127), გაიმართება შპს „კანარგო ჯორჯიას“ ვაზიანის ნავთობის ბაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ნედლი ნავთობის მიღება, რეზერვუარებში დროებით დასაწყობება და დაგროვების შესაბამისად სარკინიგზო ცისტერნებში გადატვირთვა.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №127;**
- **შპს „კანარგო ჯორჯიას“ ოფისში - ქ. თბილისი, კოსტავას გამზირი №70;**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 8 (95) 59 52 55; 8 (95) 28 75 60.**

**საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.**

შპს „კანარგო ჯორჯიას“ ადმინისტრაცია

## ◉ აპოკალიფსისი – 2015

**თოვლის** ქარიშხლებს, ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-აღმოსავლეთი რომ მოიცვა, „ასწლეულის თოვლის გრიგალი“ უწოდეს. ნიუ-იორკში პანიკა ატყდა, მაღაზიებიდან პირველადი მოთხოვნილების საგნები გაქრა. მაგრამ ალექსანდრ გუშჩინს, ავტორს წიგნისა „აპოკალიფსისი 2015“, მომხდარი არ აოცებს.

### შეჩერდი, გოლფსტრიმო!

**– მსოფლიო ეკონომიკაში ბევრი რისკია. მაგრამ მთავარია რისკი, რომელიც გლობალურ დათბობასთანაა დაკავშირებული. უკვე ჩაირთო ბუნებრივი მექანიზმები, რომლებიც მხარს უჭერენ და აჩქარებენ მას. სამწუხაროდ, ცივილიზაციას გამოეპარა მომენტი, როდესაც აქტიური რეაგირება იყო საჭირო.**

მოდელები გვიჩვენებენ: დათბობის პროცესები, რომლებიც უნდა მომხდარიყო 10 ათასი წლის განმავლობაში, ადამიანის ზემოქმედების გათვალისწინებით, შეიძლება ას წელიწადში მოხდეს.

# ამერიკის შეერთებულ შტატებს მყინვარი დაღუპავს

## კლიმატის შეცვლა ომებისა და კონფლიქტების მიზეზია?



დათბობას მივყავართ წყალდიდობათა გაძლიერებასთან, გვალვებთან, ტყის ხანძრებთან, ჩრდილოეთის განედებში კი – სიცივეებთანაც კი, მათ შორის გოლფსტრიმის დასუსტების გამოც. როგორ მუშაობს ეს მექანიზმი? გრენლანდია დაფარულია ძლიერი ყინულის ფარით. ეს მყინვარი (როგორც ჩრდილოეთი ყინულოვანი ოკეანის ყინულები) სწრაფად დნება, რასაც წყლის ზედა ფენების მარილიანობის დაქვეითებასთან მივყავართ. მტკნარი წყალი კი უფრო მსუბუქია, ვიდრე მარილიანი, ამიტომ იგი წყვეტს ფსკერის მიმართულებით დაშვებას და კეტავს გოლფსტრიმის თბილ წყალს, რომელიც ეკვატორიდან ევროპისკენ მოძრაობს. ამრიგად, ჩრდილოეთის განედებში კლიმატის დათბობას მივყავართ აცივებასთან ზამთარში, შეიძლება, ზაფხულშიც კი. შედეგად ძლიერდება ქარიშხლები და ანომალიური ნალექები, ისინი კი კიდევ მეტად აქვეითებენ წყლის მარილიანობას. პროცესი ჩქარდება. და ყველაზე მეტ უსიამოვნებას იგი იწვევს დასავლეთ ევროპისთვის, კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-აღმოსავლეთისთვის, სადაც მისი მთავარი ქალაქები – ნიუ-იორკი და ვაშინგტონია.

ეს ყოველივე კომპლექსში ზრდის სოფლის მეურნეობის რისკსაც. ამას გარდა, გრენლანდიის მყინვარის დნობამ მაღალი ალბათობით შეიძლება გამოაღვიძოს იელოუსტონის სუპერვულკანი. მისი ამოფრქვევა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის გრანდიოზულ კატასტროფად იქცევა. ამერიკელ ვულკანოლოგებს მიაჩნიათ, რომ ეს მოვლენა შეიძლება 2016 წლამდე მოხდეს.

ასე თუ ისე, უახლოეს რამდენიმე წელიწადში კლიმატის ცვლილება დამღუპველად აისახება ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაზე. ამ მოვლენას შოკის ეფექტი ექნება. გასაგებია, ბარაკ ობამასთვის და ამერიკის მთელი ადმინისტრაციისთვის არ არის ხელსაყრელი, ხმამაღლა ილაპარაკონ მოსალოდნელი კატაკლიზმების შესახებ. პრობლემის აღიარება და გაჟღერება მიგვიყვანს ეკონომიკურ კრიზისთან, მსოფლიო წარმოების შემცირებასთან და, როგორც შედეგი, დოლარზე მოთხოვნის დაცემასთან.

### ჩვენი „ნოეს კიდობანი“

**ამერიკის შეერთებულ შტატებში განა შემთხვევითაა პოპულარული ფილმი – კატასტროფები: ამერიკის მცხოვრებს დიდი ხანია განაწყობენ გლობალურ კატაკლიზმებზე. ქვეყნის ხელმძღვანელობას ესმის, რომ „ეწვის პატრუქი“, და ღებულობს უპრეცედენტო ზომებს – პოლიტიკურს, პროპაგანდისტულს, სამხედროს. ასე სურთ, შეასუსტონ დარტყმა მთელ ეკონომიკაზე, და ეს კეთდება, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის ხარჯზე.**

რუსეთს ზეღირებული რესურსი აქვს: მას მომავალ ეკონომიკურ კატასტროფაში, დასავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, აქვს მომავალი – და არც ცუდი. მიწების გაუდაბნოების პროცესები ჩვენ სულ ბოლოს შეგვეხება. ჩვენ მეტი დრო გვაქვს მომზადებისთვის. ჩვენ გვაქვს ყველაზე გრძელი ჩრდილოეთის კომუნიკაციები, მათი მშენებლობისა და მკაცრი კლიმატის პირობებში მეურნეობის წარმოების გამოცდილება. რაღაცაში კი გლობალური დათბობისგან მოვიგებთ კიდეც: გაფართოვდება სოფლის მეურნეობისთვის გამოსაყენებელი მიწების ფართობები. რუსეთი წარმოგვიდგება თავისებურ ნოეს კიდობნად დედამიწის მთელი ცივილიზაციისთვის.

კლიმატური აპოკალიფსისი ყველასთვის ცხადი შეიძლება გახდეს უკვე 2015 წელს. ახლო იქს საათის შემეცნება აიძულებს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას იჩქაროს, უგულებელყოს ხილული ლოგიკა და ჯანსაღი აზრი...

ესაუბრა
**დმიტრი პისარენკო**

### ევროპის დასასრული?

**ექსტრაორდინარულ კლიმატურ მოვლენათა წყებას სულ უფრო და უფრო მივყავართ იმ აზრთან, რომ კლიმატთან დაკავშირებით ყველაფერი რაღაც რიგზე ვერაა.**

წარსულში გოლფსტრიმის შეჩერებებს არაერთხელ მივუყვანივართ ყინულოვანი პერიოდის დადგომასთან. და არა პატარებთან, როგორც შუა საუკუნეებში, არამედ ნამდვილებთან, როდესაც ტემპერატურა ევროპაში ცელსიუსის 20 გრადუსით ეცემოდა, მყინვარი კი ხარკოვამდე და დნეპროპეტროვსკამდე აღწევდა. ახალი ყინულის პერიოდი ყველაზე მტკივნეულად დაარტყამს კანადასა და ჩრდილოეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს, სადაც მოუწევთ მოსახლეობის ევაკუირება, ვინაიდან ბუნებრივი პირობები იქ გრენლანდიას და ანტრაქტიდას მოგვაგონებს...

ამიტომ დღეს მთავარია მთელ მსოფლიოში, უწინარეს ყოვლისა, ვიმუშაოთ გოლფსტრიმის სტაბილიზაციის პრობლემებზე...

**ალექსი კარნაუხოვი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## ◉ ტესტი

# უზოროტო ფლირტი თუ ღალატი?

**უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს, რაც დაგეხმარებათ განსაზღვროთ, ძალიან შორს ხომ არ წავიდა თქვენი ვირტუალური ურთიერთობა.**

**1. თქვენს პარტნიორს უმალავთ ახალი ნაცნობის არსებობას?**
ა) დიახ; ბ) არა.
**2. ხშირად ამოწმებთ, გავიდა თუ არა ეს ადამიანი ონლაინი?**
ა) დიახ; ბ) არა.



**3. სულ უფრო მეტ წუთებს (საათებს) უთმობთ ვირტუალურ ურთიერთობას?**
ა) დიახ; ბ) არა.
**4. თუ გიჩნდებათ აზრი პირად შეხვედრაზე?**
ა) დიახ; ბ) არა.
**5. აღნიშნავთ, რომ თქვენ მსგავსი იუმორის გრძნობა გაქვთ?**
ა) დიახ; ბ) არა.
**6. ზოგჯერ ატყობთ ხოლმე, რომ ეს ადამიანი გენატრებათ?**
ა) დიახ; ბ) არა.
**7. ამ ადამიანის გაცნობის შემდეგ აღმოაჩინეთ თქვენ თავში რაიმე ახალი თვისებები?**
ა) დიახ; ბ) არა.
**8. ურთიერთობის დროს თუ განიცდით სექსუალურ ემოციებს?**
ა) დიახ; ბ) არა.
**9. შეგიძლიათ თქვათ, რომ მოგწონთ ერთი და იგივე მუსიკა, ლიტერატურა, მხატვრული ფილმები?**
ა) დიახ; ბ) არა.
**10. ადგილი თუ აქვს რეალური პარტნიორისგან ფიზიკურ და ემოციურ დაშორებას?**
ა) დიახ; ბ) არა.
**11. ამ დროს ერიდებით სერიოზულ საუბარს თქვენს პარტნიორთან?**
ა) დიახ; ბ) არა.
**12. შემოიღეთ ახალი საფოსტო ყუთი ან შეცვალეთ პაროლები თქვენს ელექტრონულ ფოსტაზე?**
ა) დიახ; ბ) არა.
**13. ურთიერთობა ხდება არა მხოლოდ მიმოწერით: თქვენ უკვე უსმენდით ერთმანეთს ტელეფონით ან სკაიპით?**
ა) დიახ; ბ) არა.
**14. თუ ხდება ხოლმე პირადი ინფორმაციის გაცვლა?**
ა) დიახ; ბ) არა.
**15. როდესაც დროს ერთად ატარებთ, თუ განიცდით სიხარულს, ბედნიერების შეგრძნებას?**
ა) დიახ; ბ) არა.

## ტესტის შედეგები:

**თუ თქვენს პასუხებში ვარიანტი „ა“ გხვდებათ 8-ჯერ და მეტჯერ –თქვენ გადახვედით ზღვარს ან ახლოს ხართ იმასთან, რომ გადალახოთ იგი. ნუ ჩაეფლობით ვირტუალურ ურთიერთობაში ადამიანთან, რომელიც თქვენს გვერდითაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხადია, თქვენს პარტნიორთან უკვე არსებულ აზრთა სხვადასხვაობას, ეწევით რისკს, დაუმატოთ ახალი კონფლიქტები. ეცადეთ, არ დაუშვათ ეს. გახსოვდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობა ვირტუალურია, სავსებით რეალურია, შეგიქმნათ მან პრობლემები.**

## ◉ კადრი



## ◉ ცინცხალი ანეკდოტები

**– ბიჭო, შაქრო, იცი, წუხელ ღამე არა და არ დამეძინა. ჰოდა, დავიწყე ცხვრის დათვლა და...**
**– მერე, ჯო, დაგეძინაა?**
**– დამეძინა კი არა, ათი ათასზე რო ავედი, მეცხვარე გავიცანი, კაი ჩვენებური ბიჭი და დილამდე მაგრა შევუბერეთ ჭაჭის არაყი!**

* * *

**– ჭიჭიკია, ბიჭო, მამაშენი რომ მოკვდა, ქონება რა დაგიტოვა, თუ იცი?**
**– რაი და მარტო ჭკუა!**
**– მერე და რა უყავი ის მამის დანატოვარი, შე ტუტუცო?**

* * *



**სასახელო გმირობები, კეთილშობილური საქციელები, გასაოცარი მოგონებები, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და სხვა – აი, რა იყო კაცობრიობის მძიმე ხვედრი ინტერნეტის გამოგონებამდე.**

* * *

**ექიმი, რომელმაც დიაგნოზი ვერაფრით ვერ დასვა, პაციენტს შეპარვით ეკითხება:**
**– ასეთი რამ ადრე თუ მოგსვლიათ?**
**– კი, ექიმო, მომსვლია.**
**– გასაგებია, ჩემო ბატონო! ეს ავადმყოფობის რეციდივია!**

* * *

**ცოლი ეუბნება ქმარს:**
**– ძვირფასო, გახსოვს რა საშინელი ქარიშხალი იყო იმ დღეს, როგორი მღელვარება იყო ზღვაზე ჩვენ რომ გავიცანით ერთმანეთი?**
**– როგორ არ მახსოვს, ჩემო კარგო, როგორ არ მახსოვს! სწორედ იმ დღიდანაა, რომ ბუნების ყველა ნიშნისა მჯერა!..**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24